საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებები კონცენტრაციების კონტროლის პროცესში

დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული TWINNING-ის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება“ ექსპერტების მხარდაჭერით

2024

შინაარსი

I. შესავალი 3
II. ზოგადი პრინციპები 4
III. სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებები 6
1. დივესტიცია 6
1.1. ბიზნესი რომელიც ექვემდებარება დივესტირებას 7
დივესტირებას დაქვემდებარებული ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობა და კონკურენტუნარიანობა 7
1.2. შესაფერისი მყიდველები 13
1.3. ვადები (სტანდარტული, პერსპექტიული მყიდველი, პრიორიტეტული ზომები) 14
1.4. ხელახალი შესყიდვა 17
2. კონკურენტებთან კავშირების გაწყვეტა 17
IV. ქცევითი ხასიათის ღონისძიებები 18
V. გადახედვის პირობა 27
VI. სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების წარდგენის პროცედურა 29
VII. ღონისძიებების განხორციელება 30
1. განხორციელების ვადები 31
2. მყიდველისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადასტურება 33
3. მხარეთა ვალდებულებები შუალედურ პერიოდში 34
5. მხარეთა ვალდებულებები დივესტიციის შემდგომ 35

I. შესავალი

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი[1] ითვალისწინებს, რომ თუ კონცენტრაციის შედეგად მოსალოდნელია ეფექტიანი კონკურენციის არსებითი შეზღუდვა, კონცენტრაციის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ შესთავაზონ საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) ოპერაციების როგორც სტრუქტურული და/ან ქცევითი ღონისძიების ცვლილება (მოდიფიკაცია). თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ ამგვარი მოდიფიკაციის შედეგად, კონცენტრაცია მნიშვნელოვნად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს საქონლისა თუ მომსახურების ბაზარზე ან მის ნაწილზე, იგი იღებს გადაწყვეტილებას კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

2. წარმოდგენილი სახელმძღვანელო პრინციპები განმარტავენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ კონცენტრაციის მხარის მიერ შეთავაზებულ ცვლილებებს (სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ვალდებულებები), რათა სააგენტომ მიიღოს ისინი, როგორც საჭირო ზომები მის მიერ გამოვლენილი კონკურენციის პრობლემების გადასაჭრელად. ამგვარ მოდიფიკაციებს/ვალდებულებებს შემდგომში ასევე მოიხსენიებენ, როგორც „საშუალებებს“, რადგან მათი მიზანია კონკურენციის პრობლემის გამოსწორება.

3. ეს სახელმძღვანელო პრინციპები ადგენენ ზოგად პრინციპებს, რომლებიც გამოიყენება მისაღები სამართლებრივი დაცვის საშუალებებისთვის, ამგვარი საშუალებების ძირითად სახეებს და კონკრეტულ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა შესრულდეს თითოეული საშუალების მიერ სათანადო პროცედურის მსვლელობისას. სახელმძღვანელო პრინციპები ასევე განსაზღვრავენ, სამართლებრივი დაცვის საშუალებების მიღებისა და განხორციელების პროცედურას, მათ შორის რწმუნებულების როლსა და ფუნქციებს.

4. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები შეესაბამება ევროკავშირის კონკურენციის სამართალს და საუკეთესო პრაქტიკას, მათ შორის ევროკომისიის დადგენილებას მისაღები სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ, რომელიც ეფუძნება საბჭოს რეგულაციას (EC) No139/2004 და კომისიის რეგულაციას (EC) No 802/2004.[2]

5. ეს სახელმძღვანელო პრინციპები არ არის გამიზნული სამართლებრივი დაცვის

---

[1] საქართველოს კანონი No 2159 21 მარტი 2014.
[2] 2008/C 267/01. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52008XC1022(01)

საშუალებების სრულყოფილი ჩამონათვალის უზრუნველსაყოფად. სააგენტო ინდივიდუალურად შეაფასებს თითოეულ კონცენტრაციას და ცალკეული ვითარებიდან გამომდინარე, დაადგენს სამართლებრივი დაცვის შესაბამის საშუალებას.

II. ზოგადი პრინციპები

ძირითადი ვალდებულებები სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების შეთავაზებისა და მათი შეფასების ეტაპებზე

6. სააგენტომ უნდა შეაფასოს, არსებითად ზღუდავს თუ არა შეტყობინებული კონცენტრაცია ეფექტიან კონკურენციას საქართველოს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ან მის რომელიმე მნიშვნელოვან ნაწილში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დომინანტური პოზიციის მოპოვება ან არსებულის გაძლიერება. კონცენტრაცია, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, მიუღებელია და სააგენტო ვალდებულია აკრძალოს იგი, თუ კონცენტრაციის მონაწილე მხარეები არ მოახდენენ კონცენტრაციის მოდიფიცირებას კონკურენციასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად.

7. მას შემდეგ, რაც სააგენტო აცნობებს კონცენტრაციის მხარეებს გონივრული ეჭვის შესახებ, რომ კონცენტრაცია შეიძლება არ იყოს თავსებადი კონკურენტულ გარემოსთან, მაშინ კონცენტრაციის მონაწილე მხარემ/მხარეებმა შესაძლებელია წარადგინონ სტრუქტურული ან ქცევითი ხასიათის ღონისძიებები. სააგენტო არ აწესებს ცალმხრივ პირობებს დადებითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, არამედ შეუძლია დაეყრდნოს მხოლოდ კონცენტრაციის მონაწილე მხარის/მხარეთა მიერ შეთავაზებულ ვალდებულებებს (სტრუქტურულ ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებებს).

8. სააგენტომ უნდა შეაფასოს, არის თუ არა საკმარისი, შეთავაზებული ქცევითი ან სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებებიკონკურენციასთან დაკავშირებული პრობლემების სრულად გადასაჭრელად, რათა დროულად მიიღოს შესაბამისი ზომები. თუმცა, მხოლოდ კონცენტრაციის მონაწილე მხარეები ფლობენ ამგვარი შეფასებისთვის აუცილებელი ინფორმაციის მინიმუმ ნაწილს, მაგალითად, სადივესტიციო აქტივების სიცოცხლისუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის შესახებ მონაცემები. ამრიგად, ისინი პასუხისმგებელნი არიან სააგენტოს მიერ შეფასებისთვის საჭირო ყველა ინფორმაციის მიწოდებაზე.

9. თუ სააგენტო დაასკვნის, რომ შეთავაზებული ღონისძიებების მიუხედავად, კონცენტრაცია გამოიწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას, კონცენტრაცია უნდა გამოცხადდეს დაუშვებლად.

ღონისძიებების ძირითადი სახეები

10. შეთავაზებული ღონისძიებებიკლასიფიცირდება როგორც სტრუქტურული ან არასტრუქტურული/ქცევითი. ზოგიერთი საშუალება შეიძლება შეიცავდეს როგორც სტრუქტურული, ასევე ქცევითი ელემენტების კომბინაციას.

11. სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებები, როგორიცაა დივესტირება ან კონკურენტებთან კავშირების გაწყვეტა, ზოგადად წარმოადგენენ ერთჯერად ზომებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ ბაზრის სტრუქტურაზე. ისინი მოითხოვენ, რომ კონცენტრაციის მხარემ/მხარეებმა გადასცენ ბიზნესი, აქტივები ან სხვა უფლებები მესამე მხარეს. მოსალოდნელია, რომ ეს მესამე მხარე კონკურენციას გაუწევს კონცენტრაციის მხარეებს და დაეხმარება ბაზარზე კონკურენციის შენარჩუნებაში. სტრუქტურული ზომები, როგორც წესი, ან აძლიერებენ ბაზრის არსებულ მონაწილეებს, ან კონკურენციის საშუალებას აძლევენ ახალ მონაწილეებს ან ახორციელებენ ორივე მათგანს.

12. მეორეს მხრივ, ქცევითი ხასიათის საშუალებები წარმოადგენენ მიმდინარე ზომებს, რომლებიც მოითხოვენ კონცენტრაციის განმახორციელებელი მხარის/მხარეთა მოდიფიცირებას ან მისი/მათი ქცევის შეზღუდვას. ეს საშუალებები, როგორც წესი, მოქმედებენ გარკვეული დროის მანძილზე და, შესაბამისად, საჭიროებენ მონიტორინგის საშუალო ან გრძელვადიან ღონისძიებებს.

13. ზოგადად, უპირატესობა ენიჭება სტრუქტურულ ღონისძიებებს, რადგან ისინი ეფექტურად და საიმედოდ აგვარებენ კონკურენციის პრობლემებს, სრულდება შედარებით მოკლე დროში და არ საჭიროებენ საშუალო ან გრძელვადიან კონტროლს. თუმცა, სხვა სახის საშუალებებს, ასევე შეუძლიათ ეფექტიანი კონკურენციის შეზღუდვის თავიდან აცილება.

14. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი სახის საშუალებაა ყველაზე შესაფერისი კონკურენციის გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად, უნდა განიხილებოდეს ინდივიდუალურად, თითოეულ შემთხვევისათვის ცალკე.

ძირითადი მოთხოვნები ყველა სახის ღონისძიებისთვის

15. შეთავაზებულმა საშუალებებმა მთლიანად უნდა აღმოფხვრან კონკურენციის პრობლემა. ეს საშუალებები უნდა იყოს ყველა თვალსაზრისით ყოვლისმომცველი, ეფექტური და ამავე დროს, განხორციელებადი დროის მოკლე მონაკვეთში, რათა უზრუნველყოს ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული პირობების შენარჩუნება.

16. მაგალითად, სტრუქტურული საშუალების შემთხვევაში, სააგენტოს უნდა შეეძლოს დარწმპირობითი ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია და რომ ახალი ბაზრის

სტრუქტურა იქნება საკმარისად მოქმედი და გამძლე, რათა ეფექტიანი კონკურენცია არ შეიზღუდოს არსებითად.

17. იმისთვის, რომ საშუალებები სრულად შეესაბამებოდნენ მე-15 პუნქტში დადგენილ ძირითად მოთხოვნებს, ასევე აუცილებელია, ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმის ჩამოყალიბება სასურველ შედეგზე ორიენტირებული განხორციელების უზრუნველსაყოფად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამგვარი საშუალებები იქნება მხოლოდ კონცენტრაციის მხარის/მხარეების განზრახვის დეკლარირება და არ იქნება კვალიფიცირებული როგორც სავალდებულო.

18. თუ შემოთავაზებული წინადადება იმდენად ვრცელი და კომპლექსურია, რომ სააგენტოს არ შეუძლია დარწმუნებით განსაზღვროს, მოცემული საშუალებების ეფექტურობა, სააგენტო უარს იტყვის ამგვარი წინადადების მიღებაზე.[3]

ღონისძიებების სავალდებულო ძალა

19. მიუხედავად იმისა, რომ ასეთისაშუალებები შეთავაზებულია კონცენტრირებული მხარის/მხარეების მიერ, სააგენტო უზრუნველყოფს წარმოდგენილი წინადადების გამოყენებადობის შეფასებას კონცენტრაციის თაობაზე ნებართვის გაცემით, თუკი დაცული იქნება მოცემული პირობითი ვალდებულება.

20. თუ სააგენტოს მიერ განსაზღვრული საშუალებები არ განხორციელდება კონცენტრაციის მხარის/მხარეთა მიერ განსაზღვრულ ვადაში ან განხორციელდება ნაწილობრივ, ან სააგენტო მიიჩნევს, რომ შემოთავაზებულიღონისძიებები სრულ შესაბამისობაში არ არის მის გადაწყვეტილებასთან, სააგენტო თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით, ჯარიმის დაკისრების პარალელურად, მიმართავს სასამართლოს და მოითხოვს კონცენტრაციის გაუქმებას [4].

III. სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებები

1. დივესტიცია

21. დივესტიციის შესახებ სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებები ყველაზე გავრცელებული სახეობას წარმოადგენს. ევროკავშირის პრაქტიკაში ჰორიზონტალური კონკურენციის პრობლემები თითქმის ყოველთვის გვარდება დივესტირების გზით. ვერტიკალური და კონგლომერატული კონკურენციის პრობლემები უფრო ხშირად

---

[3] მაგალითი, როდესაც საშუალების შესახებ წინადადება კომპლექსურად იქნა მიჩნეული, შეგიძლიათ იხ. პარაგრაფში 663 საქმე No. COMP/M.3440 – *ENI/EDP/GDP*.

[4] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N 39 ბრძანება „კონცენტრაციის შეტყობინებების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“.

აღმოიფხვრება არა დივესტიციის საშუალებების მეშვეობით, თუმცა ზოგჯერ გამოიყენება დივესტიციაც[5].

22. დივესტიციის მთავარი მიზანია შექმნას პირობები ახალი კონკურენტის შესვლის ან არსებული კონკურენტ(ებ)ის გაძლიერებისათვის, კომპანიის, ბიზნესის ან კონცენტრირებული მხარის აქტივების დამოუკიდებელ, მესამე მხარეზე გაყიდვით.

23. დივესტიციის შესახებ ღონისძიების მთავარი რისკებია:

ა. დივესტირების შეთავაზება შეიძლება იყოს ძალიან შეზღუდული, არახელსაყრელი ან სხვაგვარად შეუფერებელი, რათა მიიზიდოს შესაბამისი მყიდველი ან საშუალება მისცეს მყიდველს იმოქმედოს ეფექტიანი კონკურენტის სახით;

ბ. შესაფერისი მყიდველი შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი, ან კონცენტრაციის მხარეებმა შეიძლება აირჩიონ სუსტი კონკურენტი ან სხვაგვარად შეუსაბამო მყიდველი;

გ. სადივესტიციო ბიზნესი შეიძლება გაუარესდეს დივესტირების პროცესში, მაგალითად, კლიენტების ან კვალიფიცირებული პერსონალის დაკარგვით.

1.1. ბიზნესი რომელიც ექვემდებარება დივესტირებას

დივესტირებას დაქვემდებარებული ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობა და კონკურენტუნარიანობა

24. დივესტირება უნდა მოიცავდეს სიცოცხლისუნარიან ბიზნესს, რომელსაც შემძენი მხარის მიერ სათანადოდ მართვის შემთხვევაში, შეუძლია ეფექტიანი კონკურენცია გაუწიოს შერწყმულ ერთეულს გრძელვადიან საფუძველზე. ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, შესაძლოა საჭირო გახდეს ისეთი აქტივების ჩართვა, რომლებიც არ წარმოადგენენ ბაზრის (ბაზრების) ნაწილს, სადაც სააგენტომ გამოავლინა კონკურენციის პრობლემები, თუ ეს აუცილებელია დაზარალებულ ბაზარზე (ბაზრებზე) ეფექტიანი კონკურენტის შესაქმნელად[6]. მაგალითად, ზოგიერთ საწარმოში შეიძლება კონკურენცია

---

[5] მაგალითი, როდესაც ვერტიკალური კონკურენციის პრობლემების გადასაჭრელად, კონცენტრაციის მხარეები ვალდებულნი არიან დატოვონ ერთი მხარის ბიზნესის ნაწილი ერთობლივი საწარმოდან, რომელიც მათ შექმნეს, გვხვდება საქმეში No. M.7353 – *Airbus / Safran / JV*.

[6] მაგალითი, როდესაც დამატებითი ბიზნეს აქტივების ჩართვა იყო საჭირო გასასხვისებელი ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის გასაუმჯობესებლად, შეგიძლიათ იხილოთ - *Sanitec/Sphinx* M.1578 საქმის 255-ე პუნქტში. სხვა შემთხვევაში (No. M.7932 – *Dow/DuPont*), კონცენტრაციის მონაწილე მხარეებმა შესთავაზეს დუპონს თითქმის მთელი გლობალური სამეცნიერო-კვლევითი (R&D) ორგანიზაციის დივესტირება, თუმცა

რთული იყოს პროდუქციის სრული ხაზის, საცალო ვაჭრობის ქსელის ან მიწოდების განსაზღვრული წყაროს შეთავაზების გარეშე, რომელიც აუცილებელია დივესტირებული ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. შეიძლება ასევე იყოს რამდენიმე ინტეგრირებული ობიექტი, რომელიც აწარმოებს მრავალჯერად პროდუქტს და, შესაბამისად, უნდა გადავიდეს მთლიან შემადგენლობაში, რათა არ დაირღვეს წარმოების ეფექტურობა.

25. დივესტირებას დაქვემდებარებული ბიზნესი უნდა მოიცავდეს ყველა აქტივს, რომელიც ხელს უწყობს მის მიმდინარე ოპერაციებს ან აუცილებელია მისი სიცოცხლისუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, ასვე პერსონალს, რომელიც ამჟამად დასაქმებულია ან მათი ყოფნა სამომავლოდ აუცილებელია ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

26. კონცენტრაციის მონაწილე მხარემ/მხარეებმა გასატარებელი ღონისძიების შესახებ წინადადებაში უნდა შეიტანონ კომპანიის დეტალური აღწერა, რომელიც უნდა შეიცავდეს სადივისტიციო ერთეულის ყველა კომპონენტს:

   ა. მატერიალურ აქტივებს (მაგ., წარმოების ადგილები, გაყიდვების ობიექტები, ლოჯისტიკისა და შენახვის ადგილები, სამეცნიერო-კვლევითი ობიექტები და ა.შ.);

   ბ. არამატერიალურ აქტივებს (მაგ. პატენტები, ბრენდები, წარმოების გამოცდილება, პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ);

   გ. სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ბიზნესისთვის გაცემულ ლიცენზიებს, ნებართვებსა და ავტორიზაციებს;

   დ. ხელშეკრულებებს, იჯარასა და ვალდებულებებს სადივესტიციო ბიზნესის სასარგებლოდ;

   ე. მომხმარებელთა მონაცემებს, საკრედიტო და სხვა სახის დოკუმენტაციას;

   ვ. გადასაყვან პერსონალს, მივლინებული და დროებითი თანამშრომლების ჩათვლით, ასევე კვალიფიცირებულ თანამშრომელთა სიას, ანუ პერსონალს, რომელიც აუცილებელია ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობისა და

კონკურენციის პრობლემები დაკავშირებული იყო მილსადენის კონკრეტულ პროდუქტებსა და კვლევის ხაზებთან.

კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

27. პერსონალის გადაყვანა არ იწვევს შრომის ან/და პერსონალის მიმართ მოქმედი სხვა კანონმდებლობის დარღვევას. სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ასევე უნდა მოიცავდნენ კონცენტრაციის მონაწილეთა ვალდებულებას, არ მოახდინოს კვალიფიციური პერსონალის გადაბირება.

28. აქტივები რომლებიც გამოიყენება ან პერსონალი რომელიც დასაქმებულია სადივესტიციო ბიზნესის ფარგლებში, მაგრამ რომლებიც არ ექვემდებარება გადაცემას, პირდაპირ უნდა გამოირიცხოს შეთანხმებების ტექსტიდან. სააგენტოს შეუძლია მიიღოს ასეთი გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაციის მონაწილე მხარე (მხარეები) ნათლად აჩვენებს, რომ ეს გავლენას არ მოახდენს სადივესტიციო ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობასა და კონკურენტუნარიანობაზე.

29. სადივესტიციო ბიზნესი სიცოცხლისუნარიანი უნდა იყოს. ამრიგად, პოტენციური მყიდველის რესურსები მხედველობაში არ მიიღება გარანტიების შეფასების ეტაპზე, სანამ არ დაიდება ხელშეკრულება კონკრეტულ მყიდველთან უკვე პროცედურულ ეტაპზე (ანუ კონცენტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე). ასეთ შემთხვევაში, ამ კონკრეტული მყიდველის რესურსები შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სამართლებრივი დაცვის საშუალებების შეფასებისას[7] (იხ. პრიორიტეტული საშუალებები, ქვემოთ, 58-ე პუნქტში).

30. ყველა სხვა შემთხვევაში, შემძენი განისაზღვრება კონცენტრაციის დამტკიცების შემდეგ. თუ შემძენი არ საჭიროებს სამართლებრივი დაცვის საშუალებებში შემავალ გარკვეულ აქტივებს ან პერსონალს, სააგენტოს შეუძლია, კონცენტრაციის მონაწილის (მონაწილეების) მოთხოვნით, შეთავაზებულ მყიდველზე დაამტკიცოს დივესტირება მითითებული აქტივების ან პერსონალის გარეშე, თუ ეს ფაქტი მყიდველის რესურსების გათვალისწინებით, გავლენას არ იქონიებს ბიზნესის გაყიდვის შემდგომ მის სიცოცხლისუნარიანობასა და კონკურენტუნარიანობაზე.

31. კონცენტრაციის მონაწილემ (მონაწილეებმა) შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შესთავაზოს გარკვეული პროდუქტებისა და სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა იმ ბიზნესს, რომელიც ექვემდებარება დივესტირებას ან პირიქით. ამგვარი შეთანხმებები შესაძლოა საჭირო გახდეს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, დივესტირებული ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად.

---

[7] მაგალითად, საქმეში No. M.8084 – Bayer / Monsanto, კონცენტრაციის მხარეებმა აირჩიეს და გააფორმეს ხელშეკრულება მყიდველთან (BASF). ამან ევროკომისიას საშუალება მისცა შეეფასებინა დაცვის საშუალებები BASF-ის რესურსებისა და აქტივების გათვალისწინებით.

სააგენტოს უფლება აქვს მიიღოს ასეთი შეთანხმებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გავლენას არ მოახდენენ დივესტირებული ბიზნესის დამოუკიდებლობის ხარისხზე (კონცენტრაციაში მონაწილე მხარეთაგან).

32. შეთავაზებული დივესტიცია, სადაც სადივესტიციო მთლიანი ბიზნესი ან მისი ნაწილი წამგებიანია და მოითხოვს ინვესტირებას, შეიცავს რისკს, რომ შემძენი საბოლოოდ უარს იტყვის ასეთ ბიზნესზე [8]. დამოუკიდებელი ბიზნესი/გამოყოფა/აქციების დივესტირება

დამოუკიდებელი ბიზნესი

33. როგორც წესი, სადივესტიციო ბიზნესი უნდა იყოს რეალურად არსებული, დამოუკიდებელი საქმიანობა, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, რათა ეფექტიანი კონკურენცია გაუწიოს შერწყმულ ერთეულს გრძელვადიან საფუძველზე. ასეთი ბიზნესი შესაძლოა ფუნქციონირებდეს კონცენტრაციის მხარეთაგან დამოუკიდებლად, რესურსების მიწოდებასთან ან თანამშრომლობის სხვა ფორმებთან დაკავშირებით, გარდამავალი პერიოდის გარდა[9].

34. დამოუკიდებელი ბიზნესი შეიძლება იყოს უკვე არსებული კომპანია, კომპანიების ჯგუფი, ან ბიზნეს ერთეული, რომელიც ადრე არ იყო რეგისტრირებული როგორც ცალკე იურიდიული პირი.

35. იმ შემთხვევებში, როდესაც კონკურენციის პრობლემები წარმოიქმნება ჰორიზონტალური დუბლირების შედეგად, კონცენტრირებულ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ორი ბიზნესიდან თუ რომლის დივესტირებას განახორციელებენ[10].

---

[8] მაგალითად, საქმეში No. M.8947 – Nidec/Whirlpool, შემსყიდველმა მოგვიანებით გამოაცხადა, რომ შეწყვეტს წარმოებას შეძენილ ერთ-ერთ ქარხანაში ამ ქარხნის ცუდი ფინანსური მაჩვენებლისა და ბაზრის მნიშვნელოვანი უარყოფითი პერსპექტივის გამო (გადაწყვეტილება ვალდებულებებს შესწორების შესახებ, პარაგრ.14, 2020 წლის 15 მაისი).

[9] მაგალითი, როდესაც სადივესტიციო ბიზნესი თავდაპირველად ითვლებოდა, რომ არ შეეძლო დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეიძლება მოიძებნოს პარაგრ. 1062 და 1116 საქმე No M.9076 – *Novelis / Aleris*. ამ შემთხვევაში, საწარმოს, რომელიც უნდა იყოს დივესტირებული, შეუძლია თავად აწარმოოს მისთვის საჭირო მასალების უმეტესი ნაწილი, მაგრამ ასევე მიიღოს „საკმაო ნაწილი“ კონცენტრაციის მონაწილე მხარის სხვა საწარმოებისაგან. შემდეგ კონცენტრაციის მხარეებმა აიღეს ვალდებულება განკარგონ ქარხანა თანხებთან ერთად კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად, რაც მას სრულიად დამოუკიდებელ (დამოუკიდებელ ბიზნესად) ერთეულად გახდის.

[10] მტრული შთანთქმის შემთხვევაში, თუ შეტყობინების მხარეს (მხარეებს) აქვს შეზღუდული ინფორმაცია ბიზნესის დივესტირების შესახებ, სამიზნე კომპანიის ბიზნესის დივესტირების ვალდებულებამ შეიძლება გაზარდოს რისკი იმისა, რომ ბიზნესი არ გახდეს სიცოცხლისუნარიანი კონკურენტი. ამრიგად, ასეთ შემთხვევებში, შესაძლოა უფრო მიზანშეწონილი იყოს შემძენი კომპანიის ბიზნესის დივესტირება.

გამოყოფა

36. გამონაკლის შემთხვევებში, სააგენტომ ასევე შეიძლება განიხილოს იმ ბიზნესების დივესტირება, რომელთაც გააჩნიათ ძლიერი კავშირები ან ნაწილობრივ არიან ინტეგრირებულები კონცენტრაციის მონაწილის/მონაწილეების მიერ შენარჩუნებულ ბიზნესებთან[11]. ამგვარად, გასასხვისებელი ბიზნესი უნდა იყოს „გამოყოფილი". ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის რისკი შეიძლება იყოს მაღალი მსგავს სიტუაციებში, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შეფასდეს, არის თუ არა საჭირო არსებული ბიზნესის ზოგიერთი ნაწილის გამოყოფა, რომელთა დივესტირება სულაც არ არის განპირობებული მხოლოდ კონკურენციასთან დაკავშირებული საკითხების მოსაზრებით.

37. კონცენტრაციის მხარეებს ასევე შეუძლიათ წარადგინონ წინადადება „უკუ გამოყოფის" შესახებ, სადაც ისინი გამოყოფენ იმ შეზღუდულ ნაწილებს, რომელთა შენარჩუნებაც მათ შეუძლიათ.

38. ნებისმიერ შემთხვევაში ე.წ „სპინ-ოფ" ბიზნესი, სულ მცირე, შემძენისთვის გადაცემის დროს, უნდა იყოს დამოუკიდებლად სიცოცხლისუნარიანი და გამოყოფის დროს მისი სიცოცხლისუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობისათვის რისკი მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. კონცენტრაციის მონაწილე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დივესტირება დაიწყოს შუალედურ პერიოდში, ანუ სააგენტოს გადაწყვეტილების მიღებამდე, შემსყიდველისთვის ბიზნესის იურიდიულ და ფაქტობრივ გადაცემამდე. თუ ეს შეუძლებელია ან თუ გამოყოფა განსაკუთრებულ სირთულეებს უკავშირდება, კონცენტრაციის მონაწილეებს შეუძლიათ უზრუნველყონ სააგენტოსთვის, პერსპექტიული მყიდველის შეთავაზება, საჭირო დარწმუნების ხარისხით (იხ. „პერსპექტიული მყიდველი" ქვემოთ, 55-ე პუნქტიდან).

აქტივების დივესტირება

39. აქტივების დივესტირება, რომლებიც წარსულში არ ქმნიდნენ ერთგვაროვან და სიცოცხლისუნარიან ბიზნესს, კიდევ უფრო მეტ რისკს ქმნის სამომავლოდ, ამ აქტივების სიცოცხლისუნარიანობასა და კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით.

40. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, თუ კონცენტრაცია მოიცავს ერთზე მეტი მონაწილის აქტივებს (დივესტირება „შეგროვებით და შერჩევით"). ამგვარ დივესტირებას სააგენტო შეიძლება დაეთანხმოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი მყიდველის მიერ და

[11] მაგ. წარმოების ადგილი, გაყიდვების ობიექტი და ა.შ.

ცალკეული აქტივები უკვე შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლისუნარიან და კონკურენტულ ბიზნესად[12]. ანალოგიურად, ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში, დივესტიცია, რომელიც მოიცავს მხოლოდ ბრენდებს და თანმხლებ საწარმოო და/ან სადისტრიბუციო აქტივებს, შეიძლება იყოს საკმარისი [13].

41. ნებისმიერ შემთხვევაში, დივესტიცია როგორც წესი, სასურველია ინტელექტუალური საკუთრების (IP) უფლებების ლიცენზირებამდე, რადგან ლიცენზიის მინიჭება უფრო მეტ გაურკვევლობას იწვევს, არ აძლევს ლიცენზიანტს საშუალებას დაუყოვნებლივ გაუწიოს კონკურენცია ბაზარზე სხვა სუბიექტებს და მოითხოვს მუდმივ ურთიერთობას კონცენტრაციის მონაწილესთან (მონაწილეებთან). რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა გავლენა მოახდინოს ლიცენზიანტის კონკურენტულ ქცევაზე და გამოიწვიოს დავები ლიცენზიის მოქმედების ფარგლებსა და პირობებთან დაკავშირებით. ამრიგად, ლიცენზიის გაცემა არ ითვლება მიზანშეწონილად იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია ბიზნესის დივესტირება.

ალტერნატიული დივესტირების ვალდებულებები: კომპანიის ყველაზე ძვირფასი აქტივები

42. კონცენტრაციაში მონაწილეთა მიერ არჩეული დივესტირების სასურველი ვარიანტის განხორციელება შეიძლება ზოგჯერ გაურკვეველი იყოს, მაგალითად, მესამე მხარის უფლებების[14] ან ძირითადი კონტრაქტების, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ან შესაფერისი მყიდველის პოვნის შესაძლებლობასთან დაკავშირებული გაურკვევლობების გამო.

43. ასეთ შემთხვევებში, კონცენტრაციის მხარეებმა შეიძლება თავიანთ წინადადებაში

---

[12] მაგალითად, აქტივების დივესტირება შედარებით უფრო დამახასიათებელია ფარმაცევტულ სექტორში, სადაც ის ჩვეულებრივ მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეულ პრეპარატებთან ან მკურნალობასთან: პატენტები, საბაზრო ავტორიზაციები, ბრენდები, შესაბამისი კვლევები და მონაცემები. იხ. საქმე No. M.9554 – *Elanco Animal Health / Bayer Animal Health Division* (ცხოველურ ფარმაცევტულ წარმოებასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დივესტირება); საქმე No. M.7275 – *Novartis / GlaxoSmithKline Oncology Business* (კიბოს ორ პერსპექტიულ წამალზე უფლებების დივესტირება).

[13] მაგალითი შეიძლება მოიძებნოს საქმეში No. M.3779 – *Pernod Ricard/Allied Domecq*, სადაც დივესტიციის ნაწილს შეადგენდა შოტლანდიური ვისკის ბრენდი Glen Grant, მასთან დაკავშირებული ყველა ინტელექტუალური საკუთრების უფლება, კონტრაქტები, შეკვეთები, ჩანაწერები, ინვენტარი, ყველა პროდუქტის ფორმულა და ბრენდთან დაკავშირებული ტექნოლოგიური გამოცდილება, ასევე შესაბამისი დისტილერია.

[14] მაგალითად, მესამე მხარეს შეიძლება ჰქონდეს ვეტოს უფლება გადაცემაზე ან შეიძლება იყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიმწოდებელი იმ ბიზნესისათვის, რომლის განკარგვაც ხდება. კონცენტრაციის მონაწილეებს ზოგჯერ შეუძლიათ მართონ ეს რისკი სააგენტოს კონცენტრაციის შეფასების პროცესში მესამე მხარისგან საჭირო თანხმობის მიღებით.

შეიტანონ ალტერნატიული დივესტირების ვალდებულებები[15]. ასეთი ვალდებულებების მიღება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი პირობებით:

ა. ყოველგვარი გაურკვევლობის გარეშე, დივესტირების პირველი ვარიანტი წარმოადგენს სიცოცხლისუნარიან ბიზნესს და

ბ. მხარეთა კონცენტრაცია ვალდებულია განახორციელოს შეთავაზებული მეორე ალტერნატივა, თუ ისინი ვერ შეძლებენ დივესტიციის პირველი ვარიანტის განხორციელებას მოცემულ ვადაში.

44. ალტერნატიული დივესტირება ზოგადად უნდა იყოს „ყველაზე ძვირფასი აქტივი“, ანუ იგი უნდა იყოს მინიმუმ ისეთივე ეფექტური, როგორც თავდაპირველად შეთავაზებული დივესტირება, იმპლემენტაციის შემდგომ სიცოცხლისუნარიანი კონკურენტის შესაქმნელად, არ უნდა შეიცავდეს განხორციელებასთან დაკავშირებულ რაიმე გაურკვევლობას და უნდა შეეძლოს სწრაფი განხორციელება, რათა თავიდან იქნას აცილებული დივესტიციის განხორციელების ზედმეტად ხანგრძლივი პერიოდი.

45. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ დროებითი შენახვისა და შენარჩუნების ცალკეული ღონისძიებები გავრცელდეს ყველა აქტივზე, რომელიც შედის დივესტიციის ორივე ალტერნატივაში. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმები და გეგმა- გრაფიკი, თუ როგორ და როდის შევა ძალაში ალტერნატიული განკარგვის ვალდებულება, მისი განხორციელების უფრო მოკლე ვადებით.

46. ვინაიდან „ძვირფასი აქტივების“ ვალდებულებები და პერსპექტიული მყიდველები (იხ. „პერსპექტიული მყიდველი“ ქვემოთ, 55-ე პუნქტიდან), წყვეტენ ერთსა და იმავე პრობლემებს, კონცენტრაციის მონაწილეებს მათთვის მისაღები ვერსია შეუძლიათ აარჩიონ ორივე ვარიანტს შორის.

1.2. შესაფერისი მყიდველები

47. დივესტირებული ბიზნესი უნდა გახდეს აქტიური კონკურენტუნარიანი ძალა ბაზარზე, ამიტომ ის უნდა გასხვისდეს მყიდველზე, რომელსაც შეუძლია და სურს წარმატებული კონკურენცია გაუწიოს შერწყმულ სუბიექტებს და ასევე, სხვა კონკურენტებს. ბიზნესის შესაბამის მყიდველზე დივესტირების უზრუნველსაყოფად, სამართლებრივი დაცვის საშუალებები უნდა შეიცავდეს კრიტერიუმებს მისი მიზანშეწონილობის დასადგენად.

---

[15] ალტერნატივა შეიძლება შედგებოდეს სრულიად განსხვავებული ბიზნესისგან ან დამატებითი ბიზნესებისა და აქტივებისგან, რომლებიც დაემატება თავდაპირველ პაკეტს.

მიზანშეწონილობის კრიტერიუმები

48. მიზანშეწონილობის სტანდარტული კრიტერიუმები შემდეგნაირად გამოიყურება:

ა. მყიდველი უნდა იყოს დამოუკიდებელი და არ იყოს დაკავშირებული კონცენტრაციის მხარეებთან,

ბ. შემძენი უნდა ფლობდეს შესაბამისი გამოცდილებით მხარდაჭერილ[16] ფინანსური რესურსებს, ჰქონდეს მოტივაცია და უნარი შეინარჩუნოს და განავითაროს დივესტირებული ბიზნესი, როგორც სიცოცხლისუნარიანი და კონკურენტუნარიანი ძალა კონცენტრაციის მონაწილეებთან და სხვა კონკურენტებთან კონკურენციაში, და

გ. შეთავაზებული შემძენის მიერ ბიზნესის შეძენამ არ უნდა შექმნას ახალი კონკურენციის პრობლემები და არ უნდა წარმოქმნას გარანტიების განხორციელების შეფერხების რისკი. შეთავაზებულ შემძენს, ასევე უნდა გააჩნდეს გონივრული მოლოდინი, რომ მიიღებს ყველა საჭირო ნებართვას შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ, დივესტირებული ბიზნესის შესაძენად.

49. მყიდველის მიმართ სტანდარტულ მოთხოვნებს შესაძლოა დაემატოს გარკვეული მოთხოვნები, თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის ცალკე [17].

50. მყიდველმა უნდა აჩვენოს თავისი განზრახვა და მოტივაცია შეინარჩუნოს და აწარმოოს სიცოცხლისუნარიანი და კონკურენტუნარიანი ბიზნესი. აქედან გამომდინარე, მან უნდა წარმოადგინოს დამაჯერებელი ბიზნეს-გეგმა, რომელშიც ასახული იქნება თუ როგორ უზრუნველყოფს ის სპინ-ოფ ერთეულის წარმატებას და გამოიყენებს მის სრულ კონკურენტულ პოტენციალს, განსაკუთრებით ბაზარზე/ბაზრებზე. სადაც კონცენტრაცია დაბრკოლებებს უქმნის კონკურენციას. დამაჯერებელი ბიზნეს-გეგმის გარეშე, კანდიდატი არ შეიძლება მიღებულ იქნეს შესაფერის მყიდველად.

1.3. ვადები (სტანდარტული, პერსპექტიული მყიდველი, პრიორიტეტული ზომები)

51. ზოგადად, დივესტირების დასრულების სამი გზა არსებობს:

---

[16] გამოცდილების მოთხოვნები შეიძლება იყოს უფრო სპეციფიკური და მოითხოვდეს გამოცდილებას კონკრეტულ სექტორში ან საქმიანობაში. მაგ., საქმეში No. M.7567 – *Ball / Rexam*, მყიდველს მოეთხოვებოდა „დადასტურებული გამოცდილება შეფუთვის სექტორში“.

[17] მაგალითად, საქმეში No. M.7801 – *Wabtec/Faiveley*, მყიდველმა მოითხოვა „საერთაშორისო გაყიდვების შესაძლებლობა რკინიგზის მრეწველობის მომხმარებლებზე“ (პუნქტი -523).

ა. სტანდარტული: სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას კონცენტრაციის გამოსწორების შესახებ; შემდეგ კონცენტრაციის მხარეებს შეუძლიათ განახორციელონ/დაასრულონ კონცენტრაცია; შემდეგ გასასხვისებელი ბიზნესი კონკრეტულ ვადაში გადაეცემა სააგენტოს მიერ დამტკიცებულ მყიდველს (მყიდველის შესაფერისობის კრიტერიუმებიდან გამომდინარე);

ბ. პერსპექტიული მყიდველი: სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას კონცენტრაციის შესახებ შემოთავაზებული ღონისძიების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით; შემდეგ კონცენტრაციის მხარეებმა მყიდველთან (მყიდველის შესაფერისობის კრიტერიუმებიდან გამომდინარე) უნდა გააფორმონ სააგენტოს მიერ დამტკიცებული სავალდებულო ხელშეკრულება; მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ კონცენტრაციის მონაწილეებს კონცენტრაციის განხორციელება/დასრულება;

გ. პრიორიტეტული ზომები: კონცენტრაციის მხარეები განსაზღვრავენ მყიდველს ბიზნესის დივესტირებისათვის და აფორმებენ სავალდებულო შეთანხმებას სააგენტოს მიერ კონცენტრაციის შეფასების პროცედურის დროს[18]; ამის შემდეგ, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას კონცენტრაციის უფლებაზე სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით; შემდეგ კონცენტრაციის მხარეები ახორციელებენ/ასრულებენ კონცენტრაციას.

52. არჩევანი დამოკიდებულია თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დივესტირების ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებზე. შეიძლება არსებობდეს რისკები გასასხვისებელი ბიზნესის ხასიათიდან[19] და მასშტაბებიდან გამომდინარე, ბიზნესის გაუარესების რისკები დივესტირებამდე შუალედურ პერიოდში, შესაბამისი მყიდველის პოვნის რისკები და ა.შ.

სტანდარტული ვადები (ფიქსირებული ვადა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ)

53. სტანდარტული ვადების გამოყენებით, კონცენტრაციის მონაწილეებს შეუძლიათ გააგრძელონ ბიზნესის დივესტირება ფიქსირებულ ვადაში, კონცენტრაციის დაშვების თაობაზე სააგენტოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ეს მიდგომა, სავარაუდოდ, მიზანშეწონილია უმეტეს შემთხვევაში, იმ პირობით, რომ ბიზნესის განკარგვისთვის მოსალოდნელია რამდენიმე მყიდველის არსებობა და არ არსებობს დივესტირების

[18] ბიზნესის გადაცემა შეიძლება განხორციელდეს სააგენტოს გადაწყვეტილების შემდეგ.
[19] მაგალითად, მესამე მხარის უფლებები, სხვა ორგანოსგან დამტკიცების საჭიროება და ა.შ.

ხელისშემშლელი კონკრეტული ფაქტორები.

54. თუ მყიდველს მოეთხოვება სპეციალური კვალიფიკაცია, ეს მიდგომა შეიძლება იყოს მიზანშეწონილი, თუ არის საკმარისი რაოდენობის შესაფერისი პოტენციური მყიდველი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და დაინტერესებულები არიან სადივესტიციო ბიზნესის შეძენით.

პერსპექტიული მყიდველი

55. ზოგიერთ შემთხვევაში, მხოლოდ პერსპექტიული მყიდველის შეთავაზება აძლევს საშუალებას სააგენტოს, დაასკვნას დარწმუნების საჭირო ხარისხით, რომ ბიზნესი რეალურად დივესტირდება შესაბამის მყიდველზე. მაგალითად, შეიძლება არსებობდეს მნიშვნელოვანი ბარიერები, როგორიცაა მესამე მხარის უფლებები, ან გაურკვევლობა შესაფერისი მყიდველის პოვნასთან დაკავშირებით, ან რისკები ბიზნესის კონკურენტუნარიანობისა და სიცოცხლისუნარიანობისთვის დივესტირებამდე, შუალედურ პერიოდში [20] და ა.შ.

56. ასეთ შემთხვევებში კონცენტრაციის მონაწილე მხარეებმა უნდა აიღონ ვალდებულება, რომ არ დაასრულონ შეტყობინებული ტრანზაქცია, სანამ არ დაიდება სავალდებულო ხელშეკრულება დივესტირებული ბიზნესის მყიდველთან, რომელიც დამტკიცებულია სააგენტოს მიერ.[21] ზოგიერთ შემთხვევაში, კონცენტრაციის მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ პერსპექტიული მყიდველის შეთავაზება და დივესტირებია ალტერნატიული ვალდებულება (იხ. „ალტერნატიული დივესტირების ვალდებულებები: ყველაზე ძვირფასი აქტივები“ ზემოთ, 42-ე პუნქტიდან).

57. პერსპექტიული მყიდველის მარეგულირებელი პუნქტი ასევე აძლიერებს კონცენტრაციის მონაწილე მხარეების მოტივაციას, დახურონ განკარგვის ტრანზაქციები რაც შეიძლება სწრაფად, რათა მათ შეძლონ საკუთარი ოპერაციების დასრულება.

პრიორიტეტული ზომები

58. პრიორიტეტული ზომები მოიცავს შემთხვევებს, როდესაც კონცენტრაციის მონაწილე მხარეები დადებენ იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებას მყიდველთან, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის შეფასების მსვლელობის დროს [22]. ამის შემდეგ, სააგენტოს შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილებაში დაასკვნას, აღმოფხვრის თუ არა

---

[20] მაგალითად, კვალიფიცირებული პერსონალის დაკარგვის რისკის გამო.

[21] ასეთი ვალდებულების მაგალითი შეიძლება მოიძებნოს საქმეში No. M.8947 – *Nidec / Whirlpool (Embraco business)*.

[22] ასეთი შეთანხმებები ზოგადად ექვემდებარება სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილებას შეთავაზებული ღონისძიების მიღების შესახებ.

ბიზნესის აღნიშნულ მყიდველზე გადაცემა კონკურენციის პრობლემებს და, ხშირ შემთხვევაში, ასევე ამტკიცებს მყიდველს და სათანადო ხელშეკრულებას[23].

59. პრიორიტეტული ზომები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც მყიდველის ვინაობა გადამწყვეტია შეთავაზებული ღონისძიების ეფექტურობისთვის. ეს შესაძლოა იყოს შემთხვევა, როდესაც პოტენციური მყიდველების მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობა შეიძლება ჩაითვალოს შესაფერისად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობა უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ მყიდველის კონკრეტული აქტივებით, ან როდესაც, მყიდველს უნდა გააჩნდეს კონკრეტული მახასიათებლები კონკურენციის პრობლემების გადასაჭრელად[24]. ამგვარ სიტუაციებში, "პერსპექტიული მყიდველის" ვარიანტი ზოგადად განიხილება შესაბამისად და მისაღებად.

1.4. ხელახალი შესყიდვა

60. ღონისძიების სტრუქტურული ეფექტის შესანარჩუნებლად, გაერთიანებულ ერთეულს არ შეუძლია ხელახალი გავლენა მოიპოვოს დივესტირებულ ბიზნესზე მთლიანად ან მის რომელიმე ნაწილზე. ვალდებულებები, როგორც წესი, უნდა შეიცავდეს ჩანაწერს, რომ მატერიალური გავლენის ხელახლა მოპოვება შეუძლებელია გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როგორც წესი ეს ვადა განისაზღვრება 10 წლით.

61. თუმცა, შეიძლება ასევე გათვალისწინებული იყოს უარი, რათა სააგენტომ გაათავისუფლოს კონცენტრაციის ტრანზაქციებში ჩართული მხარეები ამ ვალდებულებისაგან, თუ იგი შემდგომში დაადგენს, რომ ბაზრის სტრუქტურა იმდენად შეიცვალა, რომ დივესტირებულ ბიზნესზე გავლენის არარსებობა აღარ არის საჭირო, კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად.

---

[23] მაგალითად, ევროკომისიამ ზოგ საქმეში დაამტკიცა შეთავაზებული შემძენი, ისევე როგორც სავალდებულო ძალის მქონე შეთანხმება, კონცენტრაციის, სამართლებრივი დაცვის საშუალებებით დამტკიცების გადაწყვეტილებაში. (მაგალითად, საქმეში No. M. 7758 - *Hutchison 3G Italy / Wind / JV*, პარაგრ. 1800-დან). თუმცა, სხვა შემთხვევებში ასე არ მოხდა (მაგ. საქმე No. M.7278 – *General Electric / Alstom (თბოელექტროენერგია - განახლებადი ენერგია და ქსელური ბიზნესი*; ვალდებულებები განსაზღვრავს Ansaldo-ს, როგორც მყიდველს, მაგრამ კომისიის გადაწყვეტილება არ იძლევა საბოლოო გადაწყვეტილებას მყიდველის და არც ხელშეკრულებების დამტკიცებაზე).

[24] მაგ. საქმეში No. M.3916 – *T-Mobile Austria/tele.ring*, მობილური ტელეფონების სადგურებისა და სიხშირეების გაყიდვა, რომელიც არ არის სიცოცხლისუნარიანი ბიზნესი, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კონკურენტთან, რომელიც სავარაუდოდ ბაზარზე ითამაშებდა tele.ring-ის მსგავს როლს; საქმე No. M.4000 – *Inco/Falconbridge*, ნიკელის გადამამუშავებელი ბიზნესის დივესტირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კონკურენტისთვის, რომელიც ვერტიკალურად არის ინტეგრირებული ნიკელის მიწოდებაში.

2. კონკურენტებთან კავშირების გაწყვეტა

62. ზოგიერთ შემთხვევაში, კონცენტრაციის მონაწილე მხარეებსა და მათ კონკურენტებს შორის არსებული კავშირი ხელს უწყობს კონცენტრაციის შედეგად წარმოშობილი კონკურენციის დაბრკოლებას, ასეთ შემთხვევებში, ამ კავშირების გაწყვეტა ასევე შეიძლება განვიხილოთ როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება.

63. ერთობლივ ან კონკურენტ საწარმოში მინორიტარული წილის დივესტირება შეიძლება საჭირო გახდეს მთავარ კონკურენტთან სტრუქტურული კავშირის გასაწყვეტად [25].

64. წილის დივესტირება სასურველი გამოსავალია ასეთ შემთხვევებში, თუმცა ზოგჯერ კონკურენტისგან მინორიტარულ აქციებთან დაკავშირებულ უფლებებზე უარის თქმა შეიძლება მისაღები იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკურენტის მინორიტარეული წილიდან მიღებული ფინანსური სარგებელი თავისთავად არ გამოიწვევს კონკურენციის შეფერხებას. იმისათვის, რომ მსგავსი დივესტირება მისაღებად ჩაითვალოს, კონცენტრაციის მხარეებმა უარი უნდა თქვან ყველა უფლებაზე, რომელიც დაკავშირებულია ამგვარ აქციებთან, რომლებიც რელევანტურია კონკურენტული ქცევისთვის, როგორიცაა წარმომადგენლობა საბჭოში, ვეტოს უფლება და ინფორმაციის უფლება [26].

65. როდესაც კონკურენციის პრობლემა წარმოიქმნება კომპანიებთან შეთანხმებებიდან, რომლებიც აწვდიან ერთსა და იმავე საქონელს ან ახორციელებენ ერთსა და იმავე მომსახურებას, შესაბამისი გამოსავალი შეიძლება იყოს დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა, როგორიცაა კონკურენტებთან დისტრიბუტორული ხელშეკრულებები[27] ან შეთანხმებები, რომლებიც მოიცავენ გარკვეული სახის კომერციული საქმიანობის კოორდინაციას[28].

IV. ქცევითი ხასიათის ღონისძიებები

66. დივესტირება ან კონკურენტებთან კავშირების გაწყვეტა სასურველ საშუალებას წარმოადგენს. თუმცა, ისინი არ არის ერთადერთი შესაძლო საშუალება კონკურენციის

---

[25] მაგ. საქმეში Case No. M.6541 – *Glencore / Xstrata*, Glencore-მა გაასხვისა თავისი მინორიტარული წილი თუთიის ლითონის მწარმოებელ Nyrstar-ზე. იხ. აგრ. საქმე No. M.3653 – *Siemens/VA Tech*.

[26] მაგალითი იხ. საქმეში No. M.4153 – *Toshiba/Westinghouse*.

[27]მაგალითი იხ. საქმეში No. M.3779 – *Pernod Ricard/Allied Domecq*. თუმცა, მხოლოდ სადისტრიბუციო ხელშეკრულების შეწყვეტა თავისთავად აღმოფხვრის კონკურენციის პრობლემებს, თუ უზრუნველყოფილი იქნება კონკურენტის პროდუქციის დისტრიბუცია მომავალში და მოახდენს ეფექტურ კონკურენტულ ზეწოლას კონცენტრაციის მონაწილე მხარეებზე.

[28] იხილეთ საზღვაო ტრანსპორტის სექტორის მაგალითები. საქმე No. M.7268 – *CSAV / HGV / Kühne Maritime / Hapag-Lloyd AG* ან საქმე No. M.3863 – *TUI/CP Ships*. ამ შემთხვევებში, კონცენტრაციის მხარეებმა აიღეს ვალდებულება, გამოვიდნენ გარკვეული ხაზის კონფერენციებიდან და კონსორციუმებიდან.

ზოგიერთი პრობლემის მოსაგვარებლად.

67. მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებები, როგორც წესი, მოითხოვს ბიზნესის, აქტივის ან სხვა უფლების დივესტირებას, ქცევითმა ზომებმა შეიძლება დააკისროს ვალდებულება - წარმართონ, შეცვალონ ან შეზღუდონ გაერთიანებული ფირმების მომავალი ქცევა. ქცევითი ღონისძიებები მიზნად ისახავენ კონკურენციის ხელშეწყობას და გაერთიანებული ფირმის მხრიდან კონკურენციის საფრთხეების თავიდან აცილებას.

სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების კომბინაცია

68. გარკვეულ გარემოებებში ეფექტური საშუალება შეიძლება მოითხოვდეს სტრუქტურული და ქცევითი ღონისძიებების კომბინაციას, რაც თავის მხრივ საჭიროებს შერწყმის მონაწილე მხარეების მიერ აქტივების დივესტირების გარდა, დამატებით სხვა ზომების მიღებას კონკურენციის პრობლემების გადასაჭრელად. გარკვეულმა ქცევითმა ვალდებულებებმა, ავსებენ რა სტრუქტურულ საშუალებებს, შესაძლოა უზრუნველყონ ეფექტური საშუალების საბოლოო განხორციელება. მაგალითად, ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს გარდამავალ პერიოდში, სანამ კონკურენტული ბაზრის სტრუქტურა არ განვითარდება. ქცევითი ხასიათის ღონისძიებები შეიძლება სასარგებლო იყოს, თუ ის მყიდველს და/ან ბაზრის სხვა მონაწილეებს აძლევს საშუალებას ეფექტურად და შემლებისდაგვარად სწრაფად განახორციელონ კონკურენცია.

69. ქცევითი ღონისძიებების მაგალითები (ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, რადგან აუცილებელი საშუალებები დამოკიდებულია თითოეული შემთხვევის სპეციფიკაზე) რომლებმაც შესაძლოა გაამყარონ სტრუქტურული ღონისძიებები, მოიცავენ[29]:

- შეზღუდული ვადით მიწოდების ხელშეკრულებებს იმ აქტივ(ებ)ის მყიდველისთვის, რომლებიც რეალიზებულია, იმ ფასად, რომელიც მყიდველს საშუალებას აძლევს კონკურენცია გაუწიოს შემენილ აქტივებს. ეს შეიძლება განსაკუთრებით ეფექტური იყოს, თუ მყიდველს ესაჭიროება მასალების დაუყოვნებელი მიწოდება, მაგრამ გარკვეული დრო სჭირდება მიწოდების მართვის საკუთარი შესაძლებლობების გასავითარებლად. მაგალითად, როდესაც დივესტირებული აქტივ(ებ)ის მყიდველს არ შეუძლია პროდუქტის წარმოება გარდამავალი პერიოდისთვის, მიწოდების ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ბაზარზე კონკურენტების დაკარგვის თავიდან აცილებას მოკლევადიან

[29] ვალდებულებების მაგალითი, რომელიც მოიცავს სტრუქტურულ და ქცევით საშუალებებს, არის საქმე No. COMP/M.9779 — *Alstom/Bombardier Transportation*

პერიოდში;

- სხვა საჭირო სერვისების, მხარდაჭერის ან დახმარების გაწევას, რათა შემძენს ან ლიცენზიანტს შეეძლოს დივესტირებული ბიზნესის ეფექტურად და დროულად მართვა[30].

70. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დამატებითი ქცევითი ხასიათის ღონისძიებები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი შემძენის მიერ კონკურენციის შენარჩუნებაში, ისინი თავისთავად არ წარმოადგენენ სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებების ეფექტურ ალტერნატივას.

71. ღონისძიებების კომბინაცია ასევე შეიძლება ეფექტური იყოს, როდესაც, მაგალითად, შერწყმა მოიცავს მრავალ ბაზარს ან პროდუქტს და კონკურენციის შენარჩუნება საუკეთესოდ მიიღწევა სტრუქტურული ღონისძიებების მეშვეობით ზოგიერთ შესაბამის ბაზრებზე და არასტრუქტურული ღონისძიებებით - დანარჩენ ბაზრებზე.

დამოუკიდებელი ქცევითიხასიათის ღონისძიებები

72. იმ შემთხვევებში, როდესაც ბიზნესის ან მისი ნაწილის გაყიდვა არ არის ალტერნატივა (არ არსებობს შესაბამისი სტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების საშუალება), თავად ქცევითი ხასიათის ღონისძიებები ზოგჯერ, შესაბამის შემთხვევებში, ასევე შეიძლება იყოს ეფექტური ღონისძიება შერწყმით გამოწვეული კონკურენციის პრობლემების მოსაგვარებლად. შემოთავაზებული ვალდებულებები უნდა იყოს საკმარისი, პროპორციული და განხორციელებადი.

73. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში, ძირითადი ინფრასტრუქტურის, ქსელების, საკვანძო ტექნოლოგიების, მათ შორის პატენტების, ტექნოლოგიური გამოცდილების ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების და ძირითადი საშუალებების, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიების თაობაზე ლიცენზიების გაცემა, შერწყმის მხარეთა მომხმარებლებისათვის გრძელვადიანი ხელშეკრულებების შეწყვეტის სპეციალური უფლებების მინიჭება, ან გრძელვადიანი კონტრაქტების გაცემა საჯარო ტენდერის პროცესში და ა.შ. შესაძლოა მისაღები აღმოჩნდეს.

74. ქცევითი ხასიათის ღონისძიებები უნდა აკმაყოფილებდნენ ეფექტურობისა და ეფექტიანობის იგივე სტანდარტებს, რაც დაწესებულია დივესტიციის შემთხვევაში. სააგენტოს შეუძლია მიიღოს სხვა სახის ღონისძიებები მხოლოდ იმ შემთხვევებში,

---

[30] ყველა შემოთავაზებული სერვისი და პროდუქტი უნდა იყოს ადეკვატური, რათა მყიდველმა შეძლოს ეფექტური კონკურენცია. მაგალითად, შეიძლება გამოყენებულ იქნას ფიქსირებული გადასახადი, ან მომსახურებისა და პროდუქციის ფასების დადგენა, ღირებულება - პლუს საფუძველზე. საბაზრო ფასებზე მითითება შეიძლება ჩაითვალოს შეუსაბამოდ. მაგალითად, პარაგრ. (1385) (გ) საქმე No. COMP/M.9779 — *Alstom/Bombardier Transportation*.

როდესაც შეთავაზებული ღონისძიება თავისი შედეგებით დივესტირების ეფექტის ტოლფასია [31]. ეს ნიშნავს, რომ სააგენტო მიიღებს ქცევითი ხასიათის ღონისძიებებს, თუ მათი სრულად განხორციელება თავიდან აიცილებს ან აღმოფხვრის ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას, რომელიც წარმოიქმნება შესაბამის ბაზარზე (ბაზრებზე) შერწყმის შედეგად.

75. სათანადო ზღონისძიებების შერჩევა და შემუშავება დიდწილად არის დამოკიდებული საქმის გარემოებებზე. სააგენტო განიხილავს სავარაუდო ანტიკონკურენტულ ქმედებებს, რომელთა განხორციელების მოტივაცია და შესაძლებლობა შეიძლება ჰქონდეთ შერწყმის მონაწილე მხარეებს. შემდეგ ის განიხილავს შეთავაზებულ ღონისძიებებს, რომლებიც შესაძლოა მიღებულ იქნას ამგვარი ქმედებების თავიდან ასაცილებლად ან შეზღუდვის მიზნით და ასევე, განიხილავს ამ ღონისძიებების ეფექტურობასა და მიზანშეწონილობას.

76. მკაფიო, ზუსტი აღწერა იმისა, თუ რა უნდა გააკეთოს კომპანიამ და რა არ უნდა გააკეთოს, მნიშვნელოვანია, რათა თავიდან იქნას აცილებული გაურკვევლობის რისკი, რამაც შეიძლება შეამციროს შეთავაზებული სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტურობა და მისი საბოლოო განხორციელება. სააგენტო განიხილავს კონკრეტული ტერმინებისა და პირობების საკამათო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და ასევე, შეეცდება განიხილოს კომპანიის მოტივები დაწესებული შეზღუდვების დარღვევის, შეთავაზებული საშუალებების გამოყენების მინიმუმამდე დაყვანის ან სხვაგვარად თავიდან აცილების მიზნით. შეთავაზებული ქცევის ყველა შესაბამისი ასპექტი უნდა იყოს მკაფიო და დაკონკრეტებული.

77. როდესაც მხარეები წარადგენენ წინადადებებს ისეთი ფართო და კომპლექსური სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ, რომ სააგენტოს გადაწყვეტილების მიღების მომენტში არ შეუძლია დარწმუნებით განსაზღვროს რომ ისინი სრულად განხორციელდება და შეძლებენ ეფექტური კონკურენციის მხარდაჭერას ბაზარზე (ბაზრებზე), ამ შემთხვევაში, შერწყმის შესახებ ნებართვის გაცემა შეუძლებელია.

78. უმეტეს შემთხვევაში, ქცევითი (არა დივესტირების) ხასიათის ღონისძიებები მოითხოვენ ეფექტური კონტროლის მექანიზმებს, რათა უზრუნველყონ, რომ მათი ეფექტი არ შემცირდეს ან თუნდაც არ გამოირიცხოს მხარეთა ქმედებებით. ქცევითი (არა-სტრუქტურული) ხასიათის ღონისძიებების გეგმის შეფასებისას, სააგენტო შეეცდება უზრუნველყოს მონიტორინგისა და აღსრულების განხორციელებადობა და შეუსაბამობისა ან შესრულებისაგან თავის არიდების გამოვლენა. სააგენტოს შეუძლია უარყოს შეთავაზებული ღონისძიებები იმ მოტივით, რომ მათი განხორციელების

[31] მაგ. იხილეთ საქმე COMP/M.3680 — *Alcatel/Finmeccanica/Alcatel Alenia Space & Telespazio*, სადაც დივესტირება შეუძლებელი იყო.

ეფექტიანი მონიტორინგი შეუძლებელია და მათი არარსებობა ამცირებს ან თუნდაც გამორიცხავს შეთავაზებული საშუალებების ეფექტს.

წვდომასთან დაკავშირებული ღონისძიებები

79. საკმარისია თუ არა ბაზარზე წვდომის შესახებ ღონისძიებები კონკურენციის პრობლემების გადასაჭრელად, დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაში კონცენტრაციით გამოწვეული კონკურენტული ზიანის დონეზე. ჰორიზონტალური შერწყმისას, სადაც შემსყიდველი მხარე იძენს ახლო და მნიშვნელოვან კონკურენტს, ნეგატიური კონკურენტული ეფექტები უმეტეს შემთხვევაში შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ სტრუქტურული (დივესტირების) ღონისძიებებით. მეორეს მხრივ, თუ შერწყმა ძირითადად ზრდის ბაზარზე შესვლის არსებულ ბარიერებს, მაგალითად, ვერტიკალური ინტეგრაციის გზით, მაშინ ზოგიერთ შემთხვევაში, ბაზარზე წვდომის შესახებ ღონისძიებები შესაძლოა საკმარისი იყოს კონკურენციის არასასურველი ეფექტების ასანაზღაურებლად.

80. წვდომასთან დაკავშირებული პირობითი ღონისძიებების მიზანია კონკურენციის შენარჩუნება ან აღდგენა **კონკურენტებისთვის წვდომის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფით,** შერწყმის შემდგომი ერთეულის პროდუქტებზე და/ან ობიექტებზე, რომლებიც მათ სჭირდებათ კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად.

81. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება საკმარისი იყოს მესამე მხარისთვის ბაზარზე შესვლის შესაძლებლობის მიცემა ან შესვლის ბარიერების შემცირება, რათა ხელი შეუწყონ შესაბამისი სუბიექტის მიერ ბაზარზე წვდომას.

82. ამგვარი წვდომა უნდა მიეცეს მესამე მხარეებს არადისკრიმინაციულ და გამჭვირვალე საფუძველზე. ხშირ შემთხვევაში, ასეთი სახის შეთავაზებული ღონისძიება ასევე მოითხოვს, წვდომის უზრუნველყოფას სამართლიანი და გონივრული პირობებით, რაც გულისხმობს წვდომის ვალდებულებას ე.წ FRAND (სამართლიანი, გონივრული და არადისკრიმინაციული) პირობებით.[32]

83. როდესაც შემოთავაზებულია წვვდომასთან დაკავშირებული პირობითი ღონისძიებები

---

[32] მაგ. იხ. საქმეები: M.3998 – *Axalto / Gemplus*, (FRAND პატენტის პორტფოლიოზე წვდომა); M.7194 – *Liberty Global / Corelio / W&W / De Vijver Media* (FRAND ტელარხებზე წვდომა); M.6800 – *PRSfM / GEMA / STIM / JV*, (ვალდებულება უზრუნველყოს საავტორო უფლებების დაცვა და მხარდაჭერის სერვისები ონლაინ მუსიკის ლიცენზირებისთვის FRAND პირობებით); M.7873 – *Worldline / Equens / Paysquare*, (გერმანიაში პრობლემების გადასაჭრელად პროგრამული უზრუნველყოფის FRAND პირობებით ლიცენზირების ვალდებულება, ბელგიაში არსებული საკითხების გადასაწყვეტად აქტივების დივესტირების გარდა); M.8665 – *Discovery / Scripps,* (FRAND ტელარხებზე წვდომა); M.9064 – *Telia – Company / Bonnier Broadcasting Holding*, (FRAND ტელარხებზე წვდომა).

კონკურენტების **ბაზარზე შესვლის გასაადვილებლად,** ისინი შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს, როდესაც აშკარაა, რომ უზრუნველყოფილი იქნება ახალი კონკურენტების ბაზარზე შესვლა, რითაც მოიხსნება ეფექტიანი კონკურენციის ნებისმიერი არსებითი დაბრკოლება.[33] ბაზარზე წვდომის შესახებ ღონისძება შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ეფექტი შედარებულია ცალკეული ბიზნესის დივესტირებასთან, ამიტომ ის საკმარისი უნდა იყოს, რათა პოტენციურ კონკურენტს საშუალება მიეცეს ჩამოყალიბდეს სიცოცხლისუნარიან კონკურენტულ ძალად, რომელსაც შეუძლია ეფექტური კონკურენცია გაუწიოს გაერთიანებულ კომპანიას გრძელვადიან საფუძველზე. ეს საკმარისი არ არის, თუ შემოთავაზებული ღონისძიებებით უზრუნველყოფილია მხოლოდ ბუნდოვანი ბიზნეს შესაძლებლობა ახალი კონკურენტისთვის ბაზარზე შესვლის ან შესაბამის ბაზარზე გაყიდვების გაზრდისათვის. [34]

84. ხშირად, შესვლის ბარიერების მნიშვნელოვანი დაწევა მიიღწევა არა ინდივიდუალური ღონისძიებებით, არამედ დივესტირებისა და წვდომის შესახებ ღონისძიებების კომბინაციით ან ღონისძიებების მთლიანი პაკეტით, რომელიც მიზნად ისახავს კონკურენტების შესვლის საერთო ხელშეწყობას სხვადასხვა საშუალებების მეშვეობით. თუ ეს საშუალებები უზრუნველყოფენ ახალი კონკურენტების დროულ და საკმარისი რაოდენობით შესვლას, ისინი შეიძლება ჩაითვალოს ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე ისეთივე ეფექტის მქონედ, როგორიც დივესტირებაა. თუ შეუძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ შეთავაზებული ღონისძიებების მეშვეობით ბაზრის ბარიერების შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს ახალი კონკურენტების შესვლა, მაშინ სააგენტო უარს იტყვის შეთავაზებულ საშუალებებზე.

85. შესაძლოა დაინერგოს ბაზარზე წვდომასთან დაკავშირებით დამატებითი ღონისძიებები, რათა ბაზარზე წვდომის შეზღუდვის[35] შედეგად, კონკურენცია მნიშვნელოვნად არ შეფერხდეს. სააგენტო ასეთ საშუალებებს მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მათი ეფექტურობა და კონკურენტები სავარაუდოდ

---

[33] იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს (CFI) გადაწყვეტილება საქმეზე T-177/04 *easyJet v Commission* [2006] ECR II-1931, პარაგრ. 197 *და მომდევნო*

[34] მაგალითად, *„ხორვატიის ცემენტში“,* მხარეებმა შესთავაზეს ცემენტის ტერმინალზე წვდომის მინიჭების ხუთწლიანი საიჯარო ხელშეკრულების მიცემის გზით გარიგების ანტიკონკურენტული ეფექტების მოგვარება ნაცრისფერი ცემენტის ბაზარზე. ეს საშუალებას მისცემდა კონკურენტს დაეწყო ცემენტის გაყიდვა ტერმინალის მეშვეობით. კომისიამ უარყო ეს საშუალება და დაასკვნა, რომ მას არ ექნება დამოუკიდებელი ბიზნესის დივესტირების მსგავსი ეფექტი. ამის ნაცვლად, შეთავაზებულმა საშუალებამ მხოლოდ გაუხსნა შესაძლებლობა კომპანიას დაეწყო საკუთარი ცემენტის წარმოება ნულიდან. შედეგად, შერწყმა აიკრძალა. საქმე M.7878 – *HeidelbergCement / Schwenk / Cemex Hungary / Cemex Croatia*. გადაწყვეტილების გასაჩივრება არ დაკმაყოფილდა, საქმე: T-380/17 *HeidelbergCement v. Commission* [2020].

[35] საქმე COMP/M.2533 — *BP/E.ON*, მილსადენებზე წვდომა მილსადენის კომპანიის აქციების განკარგვის გარდა; საქმე COMP/M.2389 — *Shell/DEA*, ეთილენის იმპორტის ტერმინალზე წვდომა.

გამოიყენებენ მათ, რათა აღმოიფხვრას ბაზარზე წვდომის პრობლემები. კონკრეტულ შემთხვევებში, წინასწარი ან პრევენციული ზომების გამოყენება შეიძლება საკმარისი იყოს იმისათვის, რომ სააგენტომ დარწმუნების საჭირო ხარისხით დაასკვნას, რომ ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.[36]

86. საკვანძო ტექნოლოგიებზე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებებზე, ლიცენზირებულ პატენტებსა და სხვა ასპექტებზე კონტროლმა შეიძლება ასევე გამოიწვიოს კონკურენტების ბაზრიდან გამორიცხვის საშიშროება, რომლებიც დამოკიდებულები არიან შესაბამის ტექნოლოგიებზე, უფლებებსა და ლიცენზიებზე, როგორც ქვედა დონის ბაზარზე მათი საქმიანობის განუყოფელ ელემენტზე. მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ გამოცდილებაზე წვდომამ, რომელიც არაა დაცული ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით, შეიძლება ასევე შეასრულოს მსგავსი როლი. შერწყმის შედეგად წარმოქმნილი ზიანის თეორიიდან გამომდინარე, შერწყმის შემდეგ კონკურენტებისთვის შესაბამის ინფორმაციასა და ლიცენზიებზე წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულებები იმავე მოცულობით და იმავე (ან უკეთესი) პირობებით, როგორც შერწყმამდე, მნიშვნელოვანწილად ამსუბუქებს კონკურენციის პრობლემებს.[37] ჩვეულებრივ, სამართლებრივი დაცვის საშუალებები უნდა ითვალისწინებდეს არაექსკლუზიურ ლიცენზიებს ან ინფორმაციის არაექსკლუზიურ საფუძველზე გამჟღავნებას ყველა მესამე მხარისთვის, რაც დამოკიდებულია მათი საქმიანობის შესაბამის უფლებებსა ან ინფორმაციაზე. როგორ წესი, ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე პროცედურებით. თუ ლიცენზიანტი წარმოადგენს კონკურენტ მხარეს, ლიცენზირების პირობები უნდა იყოს ჩამოყალიბებული იმგვარად, რომ არ მოხდეს სენსიტიური ინფორმაციის გამჟღავნება ლიცენზირებული მხარისათვის. სალიცენზიო პირობებმა არ შეიძლება ხელი შეუშალოს ასეთი სალიცენზიო ღონისძიების ეფექტურ განხორციელებას ან რაიმე სახით შეაფერხოს ლიცენზიანტის კონკურენტუნარიანობა. ვადები და პირობები, ფასდადების პოლიტიკის ჩათვლით, მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ წინადადებაში. ზოგადად, სააგენტო მიიღებს ასეთ საშუალებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მათი ეფექტურობა და კონკურენტები გამოიყენებენ მათ საჭიროებისამებრ.

87. შეთავაზებული ღონისძიებების სხვადასხვა სახეები, რომლებიც შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა ასევე იყოს დამოკიდებული ბაზრის ბუნებაზე, ისევე როგორც გამოვლენილი კონკურენციის ზიანის

---

[36] იხ. „ხარისხობრივი მორატორიუმი“ საქმეში COMP/M.2903 — *DaimlerChrysler/Deutsche Telekom/JV*, პარაგრ 76.

[37] იხ. საქმე COMP/M.3083 — *GE/Instrumentarium*; საქმე COMP/M.2861 — *Siemens/Draegerwerk*. საქმე COMP/M.3998 — *Axalto/Gemplus*.

ბუნებაზე.

88. ციფრული ტექნოლოგიების სექტორში კონცენტრაციამ, შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა მნიშვნელოვანი კონგლომერატული თუ ვერტიკალური პრობლემები. მაგალითად, კონცენტრაციის შედეგად წარმოშობილმა ერთეულმა შეიძლება შეამციროს თავისი პროდუქტების თავსებადობა კონკურენტების პროდუქტებთან. ამგვარი პრობლემების გადასაჭრელად, ზოგჯერ შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელმისაწვდომი საშუალების კონკრეტული სახეობა - თავსებადობის საშუალება .[38]

89. სატელეკომუნიკაციო სექტორში ქსელზე წვდომის ნებართვის მინიჭება (საბითუმო წვდომა), რომელიც შემდეგ გამოყენებული იქნება საცალო მომხმარებლებისთვის გარკვეული სერვისების შეთავაზების მიზნით, შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად. თუმცა, ამ საშუალებების ეფექტურობისათვის, სავარაუდოდ საჭირო იქნება ზოგიერთი სტრუქტურული ხასიათის ღონისძიების კომბინაცია.[39] საკმარისია თუ არა ქსელზე წვდომა (ნებისმიერ სექტორში, სადაც კი ქსელზე წვდომა განიხილება) დამოკიდებულია შერწყმის შედეგად გამოწვეულ ზიანზე. თუ შერწყმა აღმოფხვრის ქსელის დამოუკიდებელ ოპერატორს, რომელიც კონკურენციას უწევს სხვა ქსელის ოპერატორებს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქსელზე წვდომის უზრუნველყოფა სერვისის პროვაიდერთან (რომელიც არ იქნება საკუთარი ქსელის მფლობელი) საკმარისი იქნებაგამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად[40]. ამ საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია, შერწყმის შედეგად დაზარალებულ ბაზრებზე არსებული კონკურენტული პირობების შეფასება. შეიძლება ასევე, საჭირო გახდეს იმის გამოვლენა, იძლევა თუ არა ინფრასტრუქტურაზე წვდომა მესამე მხარის მიერ, კონკურენტუნარიანი

---

[38] მაგ. იხილეთ M.5984, *Intel / McAfee*. M.8124 – *Microsoft / LinkedIn*, 2016. M.8306 – *Qualcomm / NXP*, M.9660 – *Google / Fitbit*, გადაწყვეტილებას დართული ვალდებულებები, ნაწილი A.3 (Android APIs ვალდებულებები). M.9660 – *Google / Fitbit*, გადაწყვეტილებას დართული ვალდებულებები, ნაწილი, A.2 (Android APIs ვალდებულებები). M.8744 – *Daimler / BMW / Car Sharing JV*, M.8314 – *Broadcom / Brocade*, M.6564 – *ARM / Giesecke & Devrient / Gemalto / JV*. ანტიმონოპოლიური გამოძიების სფეროში, Microsoft-ის წინააღმდეგ მიღებულ იქნა თავსებადობის ზომები, რამაც გამოიწვია მრავალი დავა და, საბოლოოდ, Microsoft-თვის ჯარიმის დაკისრება ამ ზომების შეუსრულებლობისთვის.COMP/C 3/37.792, *Microsoft*. *Qualcomm/NXP* საქმეში, ციფრულ სექტორში, კომისიამ დაამტკიცა შერწყმა იმ პირობით, რომ გაერთიანებული კომპანიის პროდუქცია იქნება კონკურენტების პროდუქტებთან თავსებადი, ისევე როგორც ვალდებულება არ შეიძინოს NXP-ის არსებითი პატენტები და უზრუნველყოს, გარკვეულ პირობებში, პატენტებზე ხელმისაწვდომობა სხვა კომპანიებისთვის სამართლიანი და გონივრული პირობებით. საქმე N COMP/M.9779 — *Alstom/Bombardier Transportation*, ქცევითი და სტრუქტურული საშუალებების ნაზავი.

[39] M.7758 – *Hutchison 3G Italy / WIND / JV*. M.7421 – *Orange / Jazztel*. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მობილურ სექტორში შერწყმის წინა შემთხვევებში მიღებული წვდომის საშუალებები იყო „უკიდურესად რთული დანერგვისა და კონტროლის თვალსაზრისით“. M.7612 – *Hutchison 3G UK / Telefonica UK*, პარაგრ. 3051.

[40] მაგ. „ბრიტანეთის მობილური კომუნიკაციების გაერთიანება“-ში კომისიამ უარყო ქსელის სიმძლავრის დივესტირების შესახებ ვალდებულებები როგორც არასაკმარისი. საქმე COMP/M.7612 – *Hutchison 3G UK/Telefonica UK*, პარაგრ 2620 *და მომდევნო.*, 2914 *და მომდევო.*

პროდუქტის[41] შეთავაზების საშუალებას. სხვა პირობებიც შეიძლება ასევე მისაღები იყოს, კონკრეტული განსახილველი შემთხვევის მიხედვით.

90. ვერტიკალურმა შერწყმამ მედია სექტორში შეიძლება გამოიწვიოს კონკურენტი ფირმების წვდომის შეზღუდვა ძირითად სახარჯო რესურსებზე. ამ პრობლემების მოგვარება შესაძლებელია წვდომასთან დაკავშირებული ღონისძიებების გამოყენებით, მაგალითად, სატელევიზიო არხებისა და კონტენტის მფლობელი იღებს ვალდებულებას ამ არხების სამართლიანი, გონივრული და არადისკრიმინაციული პირობებით ლიცენზირების შესახებ, რათა არსებული და ახალბედა სატელევიზიო დისტრიბუტორებისთვის, რომლებიც კონკურენციას უწევენ შერწყმულ სუბიექტს ტელევიზიის დისტრიბუციის ქვედა დონის ბაზარზე, უზრუნველყონ მნიშვნელოვანი სატელევიზიო არხების მუდმივი ხელმისაწვდომობა.[42]

91. წვდომასთან დაკავშირებული ღონისძიებები ხშირად კომპლექსური ბუნების მატარებლები არიან. ისინი უნდა შეიცავდნენ წვდომის მკაფიო და კონკრეტულ პირობებს, რათა კლიენტებმა და მარეგულირებელმა ორგანოებმა შეძლონ მათი ეფექტიანად გამოყენება, რისთვისაც ასეთი ღონისძიებები უნდა მოიცავდეს ასევე, მონიტორინგის სათანადო პროცედურებსაც. ზოგიერთ შემთხვევაში, მონიტორინგი თავად ბაზრის მონაწილეებმა უნდა განახორციელონ, მაგალითად, იმ კომპანიებმა, რომელთაც სურთ ისარგებლონ ამ საშუალებებით.

92. ზოგადად, თუ წვდომასთან დაკავშირებული ღონისძიებები არ არის დეტალურად განსაზღვრული ან მათზე არ ხორციელდება საკმარისი მონიტორინგი, მაშინ შეთავაზებული ღონისძიება მოწყვლადი იქნება სპეციფიკაციის რისკების მიმართ და გაერთიანებულმა ერთეულმა შეიძლება თავიდან აიცილოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ასეთ პირობებში, ღონისძიებების ალტერნატიული ფორმები (მაგ.

---

[41] მაგ. ევროკომისიამ უარყო წვდომის ვალდებულება ორი ლოგისტიკური კომპანიის შერწყმისას მცირე ამანათების საერთაშორისო მიწოდებასთან დაკავშირებით. კომისიამ დაასკვნა, რომ ამ ბაზრებზე მოქმედი მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია შესთავაზოს კონკურენტუნარიანი პროდუქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს საკუთარი საჰაერო გადაზიდვის ქსელი ევროპის მასშტაბით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ უზრუნველყოფს ამანათის ღამით მიწოდებას. იხ. ევროკომისიის გადაწყვეტილება. COMP/M.6570 – *UPS/TNT*, პარაგრ. 1852 *და მომდევნო*.; 1949 *და მომდევნო* (აკრძალვა; TNT-ის ადგილობრივი შვილობილი კომპანიების დივესტიცია და მყიდველისთვის UPS-ის ევროპის საჰაერო ტვირთების ქსელზე წვდომის მიცემა არ იყო საკმარისი, როგორც საშუალება).

[42] იხ. საქმე No M.7194 – *Liberty Global / Corelio / W&W / De Vijver Media* (შვიდწლიანი ვალდებულება, უზრუნველყოს წვდომა FRAND-ით (სამართლიანი, გონივრული და არადისკრიმინაციული პირობებით)) ბელგიაში სატელევიზიო არხებზე კონკურენტი ფირმების წვდომის შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად; M.9064 – *Telia – Company / Bonnier Broadcasting Holding*, (ათწლიანი ვალდებულება, უზრუნველყოს წვდომა FRAND-ით (სამართლიანი, გონივრული და არადისკრიმინაციული პირობებით) შვედეთსა და ფინეთში სატელევიზიო არხებზე კონკურენტი ფირმების წვდომის შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად).

დივესტირება) სავარაუდოდ უფრო ეფექტური იქნება.

გრძელვადიანი ექსკლუზიური ხელშეკრულებების შეცვლა

93. შეთავაზებული კონცენტრაციის შედეგად, ბაზრის სტრუქტურის ცვლილებამ, შეიძლება გამოიწვიოს არსებული სახელშეკრულებო დათქმების მეშვეობით ეფექტური კონკურენციის შეფერხება. გრძელვადიანი ან ექსკლუზიური ხელშეკრულებები შეიძლება წარმოადგენდნენ ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვან ბარიერს, თუ ისინი ხელს უშლიან ახალ მონაწილეებს და გაფართოებულ კონკურენტებს დაამყარონ სახელშეკრულებო ურთიერთობები კონცენტრაციის შედეგად არსებული მხარეების მომხმარებლებთან ან მომწოდებლებთან. გრძელვადიანი მიწოდების ექსკლუზიურ ხელშეკრულებებს შეუძლიათ შეზღუდონ როგორც მიწოდება კონკურენტებისთვის ზედა დონის შემთხვევაში, ისე მომხმარებლებთან წვდომა ქვედა დონეზე. იმდენად რამდენადაც, კონცენტრაციის შედეგად წარმოქმნილ კომპანიას აქვს შესაძლებლობა და მოტივაცია შეზღუდოს კონკურენტები ამ გზით, არსებული ექსკლუზიურობის ხელშეკრულებებით გამოწვეულმა შეზღუდვის ეფექტმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფერხოს (დაამახინჯოს) ეფექტიანი კონკურენცია.[43]

94. ასეთ ვითარებაში, არსებული ექსკლუზიური ხელშეკრულებების შეწყვეტა ან შეცვლა შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს კონკურენციის პრობლემების გადასაჭრელად.[44] არსებული მტკიცებულებები ასევე, უნდა მიუთითებდეს, რომ დე ფაქტო ექსკლუზიურობა არ იქნება შენარჩუნებული. უფრო მეტიც, გრძელვადიან ხელშეკრულებებში ცვლილებები, ჩვეულებრივ საკმარისი იქნება მხოლოდ როგორც კონკურენციის გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად მიმართული ღონისძიებების პაკეტის ნაწილი. არსებული მტკიცებულებები ასევე უნდა მიუთითებდეს, რომ დე ფაქტო გამონაკლისი არ იქნება დაცული. გარდა ამისა, გრძელვადიანი ხელშეკრულებების ასეთი ცვლილება, ჩვეულებრივ, საკმარისი იქნება მხოლოდ როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალებების ნაწილი, რათა აღმოიფხვრას გამოვლენილი კონკურენციის პრობლემები.

95. ქცევითი (არასტრუქტურული) ხასიათის ღონისძიებების სახეები, როგორიცაა მაგალითად, მხარეთა დაპირებები, რომ თავი შეიკავონ გარკვეული კომერციული

---

[43] იხ. კომისიის პუბლიკაცია არაჰორიზონტალური შერწყმის შესახებ; საქმე IV/M.986 — *AGFA Gevaert/DuPont*.

[44] საქმე COMP/M.2876 — *Newscorp/Telepiù*, პარაგრ. 225 *და მომდევნო.*, სატელევიზიო კონტენტის მომწოდებლებისთვის ცალმხრივი შეწყვეტის უფლების მინიჭება, ექსკლუზიურობის ფარგლების შეზღუდვა და კონტენტის მიწოდებასთან დაკავშირებული მომავალი ხელშეკრულებების ხანგრძლივობის შეზღუდვა; საქმე COMP/M.2822 — *ENI/EnBW/GVS*, ყველა ადგილობრივი გაზის დისტრიბუტორისთვის ვადამდელი შეწყვეტის უფლების მინიჭება გაზმომარაგების გრძელვადიან ხელშეკრულებებთან დაკავშირებით; საქმე IV/M.1571 — *New Holland*; საქმე IV/M.1467 — *Rohm and Haas/Morton*.

ქცევისგან (მაგ. პროდუქტების ნაკრებებთან მიმართებაში), ზოგადად არ აღმოფხვრის ჰორიზონტალური გადაფარვების. შედეგად წარმოქმნილი კონკურენციის პრობლემებს. შესაძლებელია, რომ ასეთი ღონისძიების ეფექტურობის საჭირო ხარისხის მიღწევა რთული იყოს მის ფუნქციონირებაზე ეფექტური კონტროლის არარსებობის გამო, ასევე, შესაძლოა ვერ განხორციელდეს იმის შემოწმება, შესრულდა თუ არა შესაბამისი ღონისძიება. აქედან გამომდინარე, სხვა სახის ღონისძიებების გამოყენება, როგორიცაა მაგალითად, ქცევითი ხასიათის ღონისძიება, -შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

V. გადახედვის პირობა

96. სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების შესახებ პირობითი ვალდებულებები, როგორც წესი, მოიცავენ პირობას, რომელიც საშუალებას აძლევს სააგენტოს შეიტანოს შემზღუდველი ხასიათის ცვლილებები საჭიროებისამებრ. ამან შესაძლოა სააგენტოს მიერ, მხარეთა მოთხოვნით და გონივრულ საფუძველზე გამოიწვიოს, ამ ღონისძიებების ვადის გახანგრძლივება ან, გამონაკლის შემთხვევებში, გაუქმება, შეცვლა ან ჩანაცვლება.

97. მხარეებმა უნდა წარადგინონ მოთხოვნა საბოლოო ღონისძიების ვადის გაგრძელების შესახებ. მოდიფიკაციასთან დაკავშირებული ცვლილებები, როგორიცაა დივესტირების გარკვეული ეტაპების ვადები ან პერიოდული ანგარიშების წარდგენის ვადები, შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შერწყმის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ დაადასტურონ, რომ ისინი არ აფერხებენ დადგენილი ღონისძიებების განხორციელებას ან რომ ვერ შეძლეს ვადების დაცვა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. დივესტირების ვადების ნებისმიერმა ცვლილებამ უნდა უზრუნველყოს მხარეთა მიერ ბიზნესის მოკლე დროში დივესტირება.

98. სააგენტოს შეუძლია უარი თქვას ან დაეთანხმოს სტრუქტურული/ქცევითი ხასიათის ღონისძიებების მოდიფიკაციას ან შეცვლას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ქმედება რელევანტური იყოს დივესტირების საშუალებების მიმართ, რადგან მათი გამოყენება უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღებიდან მოკლე დროში და კიდევ უფრო ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ დროის განმავლობაში ბაზარზე რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს ჰქონდეს ადგილი. ღონისძიებების გაუქმება, შეცვლა ან ჩანაცვლება შესაძლოა უფრო მისადაგებული იყოს არასადისვესტიციო ვალდებულებებისთვის, როგორიცაა წვდომასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომელიც შეიძლება მეტად გრძელვადიანი იყოს და რომლის ყველა მომავალი განვითარების პროგნოზირება შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღების დროს.

99. არსებითი გადახედვა ან გაუქმება შეიძლება მიღებულ იქნას გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მხარეთა მიერ ხდება იმის დემონსტრირება, რომ ბაზრის პირობებში ადგილი აქვს მნიშვნელოვან და მუდმივ ცვლილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ან ამცირებენ (მაგრამ არ ზრდიან) საწყის კონკურენციას. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების დასასაბუთებლად, შერწყმის მონაწილე მხარეებმა უნდა აჩვენონ, რომ ბაზრის პირობების შეცვლის გამო, სამართლებრივი დაცვის საშუალებები აღარ არის საჭირო (ან ნაკლებად მკაცრი ზომები უფრო მიზანშეწონილია) ან სათანადო ეფექტურობის მისაღწევად მიზანშეწონილია არსებული ზომების შეცვლა. ამის დასადასტურებლად საჭიროა დროის საკმაოდ დიდი ინტერვალი, როგორც წესი, რამდენიმე წელი მაინც, სააგენტოს გადაწყვეტილებასა და მხარეთა მოთხოვნას შორის.

100. გამონაკლის შემთხვევებში, ღონისძიებები შეიძლება გადაიხედოს, თუ მხარეებს შეუძლიათ არგუმენტების წარმოდგენა, რომ მიღებული გამოცდილება ადასტურებს რომ მათი საშუალებით მიღწეული მიზანი უკეთესად შესრულდება, თუ სამართლებრივი დაცვის საშუალებები გარკვეულწილად შეიცვლება.

101. ღონისძებების რაიმე სახის გაუქმების, შეცვლის ან ჩანაცვლების შემთხვევაში, სააგენტოს უფლება აქვს მოიპოვოს მესამე მხარის მოსაზრებები, რათა შეაფასოს გავლენა, რაც ცვლილებამ შეიძლება მოახდინოს მესამე მხარის პოზიციაზე და ზომების საერთო ეფექტურობაზე.

102. ნებისმიერი ცვლილება ჩვეულებრივ მოქმედებს *ex nunc* (ცვლილებების დამტკიცების შემდეგ) საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ღონისძიების ცვლილება რეტროაქტიულად არ გავრცელდება მის ნებისმიერ დარღვევაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცვლილებამდე. შესაბამისად სააგენტოს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია იმოქმედოს კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

VI. სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების წარდგენის პროცედურა

103. მხარეებმა სრულად და ადრეულ ეტაპზევე უნდა ითანამშრომლონ სააგენტოსთან, რათა უზრუნველყონ ღონისძიებების წარმატებით განხორციელება, რაც წარმოადგენს როგორც სააგენტოს, ასევე მხარეთა ინტერესებს.

104. მხარეთა პასუხისმგებლობას წარმოადგენს ადეკვატური ღონისძიებების შეთავაზება. ისინი უნდა იყოს პროპორციული, საკმარისი და განხორციელებადი. პროპორციულობის პრინციპი ნიშნავს, რომ ღონისძიება უნდა იყოს კონკურენციის პრობლემის

პროპორციული და მთლიანად უნდა აღმოფხვრას იგი[45] და უნდა იყოს ეფექტური.

105. მხარეებმა სააგენტოს უნდა წარუდგინონ ყველა საჭირო ღონისძიება, რომელსაც, მათი აზრით, შეუძლია აღმოფხვრას კონკურენციასთან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემები, ასევე, სათანადო ინფორმაცია შეთავაზებული ღონისძიებების შესაფასებლად. წინადადებებმა არასაკმარისი სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ შეიძლება გამოიწვიოს სააგენტოს მიერ კონცენტრაციის აკრძალვის გარდა სხვა არჩევანის უქონლობა.

106. დროის შეზღუდვის გამო წინადადებები საკმარისად ადრე უნდა იყოს წარმოდგენილი, რათა სააგენტომ შეძლოს მათი ადეკვატურობისა და სიცოცხლისუნარიანობის შეფასება გადაწყვეტილების მისაღებად განკუთვნილ ვადაში. მხარეები პასუხისმგებლები არიან შეთავაზებული ღონისძიებების დროულად წარდგენაზე, რათა საკმარისი დრო დარჩეს საჭირო გადახედვის ან მოლაპარაკებებისთვის.

107. შეთავაზებულ ღონისძიებებს უნდა შეეძლოთ საკმარისი კონკურენციის აღდგენა ბაზარზე, რათა აღმოიფხვრან კონცენტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ანტიკონკურენტული ეფექტი. მათ სრულად უნდა მოაგვარონ კონკურენციის პრობლემები და გააჩნდეთ გრძელვადიანი ეფექტი. ეს ღონისძიებები ასევე, არ უნდა საჭიროებდნენ სააგენტოს მხრიდან მუდმივ მონიტორინგს.

108. მხარეებს შეუძლიათ ღონისძიებების შესახებ წინადადებები არაოფიციალურად წარუდგინონ სააგენტოს ნებისმიერ დროს, ოფიციალური შეტყობინების გაგზავნამდეც კი. თუ სააგენტოს მიერ საქმის საბოლოო შეფასება მიუთითებს, რომ ერთ ან მეტ ბაზარს არ გააჩნია კონკურენციასთან დაკავშირებული პრობლემა, რომლისთვისაც იყო შეთავაზებული ღონისძიებები, მხარეებს ეცნობებათ ამის შესახებ და შეუძლიათ გააუქმონ უსარგებლო ღონისძიებების მიღება ამგვარი ბაზრებისთვის. თუ მხარეთა მიერ არ მოხდება ამ ღონისძიებების უკან გამოთხოვა ჩვეულებრივ სააგენტო მოახდენს მათ უგულებელყოფას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას. წინადადებები, რომლებიც ეხება ერთ ან მეტ ბაზარს, სადაც არ არის გამოვლენილი კონკურენციის პრობლემა, არ წარმოადგენს პირობას მათი დამტკიცებისათვის.

109. სააგენტოს, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებს თავისი სერიოზული ეჭვების შესახებ წერილობითი პრეტენზიების ოფიციალურად

---

[45] ევროკავშირის შერწყმის რეგულაცია, რეკ. 30; საქმე C-202/06 P *Cementbouw Handel & Industrie v Commission* , პარაგრ. 54 „აუცილებელია, პირობების ან ვალდებულებების პროპორციულობის განხილვისას, რომლებიც კომისიამ შეიძლება (…) დაუწესოს კონცენტრაციის მონაწილე მხარეებს (…) უნდა დარწმუნდეს, რომ ეს პირობები და ეს ვალდებულებები პროპორციულია და მთლიანად აღმოფხვრის კონკურენციის პრობლემას, რომელიც გამოვლინდა“.

გამოტანამდე, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის „კონცენტრაციის შეტყობინებების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 26 ოქტომბრის №39 ბრძანების მე-14 მუხლის 1-2 პუნქტების შესაბამისად.

110. სააგენტო მზადაა კონცენტრაციის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე განიხილოს შესაბამისი შემოთავაზებული სტრუქტურული/ქცევითი ხასიათის ღონისძიებები. . მხარეები უფლებამოსილნი არიანწარადგინონ წინადადებების პროექტები, როგორც არსებითი, ისე განხორციელების შემცველი ასპექტებით, რაც აუცილებელია ვალდებულებების სრულყოფილად შესრულების უზრუნველსაყოფად. თუმცა, მოლაპარაკებები სააგენტოსა და კონცენტრაციის მხარეებს შორის ვალდებულებების ზუსტ ფარგლებსა და შინაარსთან დაკავშირებით, როგორც წესი, შეიძლება დასრულდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება სააგენტოს მოკვლევა კონცენტრაციის შესაძლო კონკურენტული ეფექტების შესახებ.

VII. ღონისძიებების განხორციელება

111. ღონისძიებების შეთავაზება ხორციელდება, როგორც ნებართვის მოპოვების საშუალება და მათი იმპლემენტაცია/დანერგვა ჩვეულებრივ მიმდინარეობს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ისინი საჭიროებენ კონკრეტულ დეტალებს მათი ეფექტური და დროული იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად. ეს დეტალები იმპლემენტაციის შესახებ, როგორც წესი, ღონისძიებების ნაწილს წარმოადგენენ.

1. განხორციელების ვადები

112. ღონისძიებების განხორციელების ვადები განისაზღვრება ინდივიდუალურად.

113. დივესტირება უნდა დასრულდეს მხარეებსა და სააგენტოს შორის შეთანხმებულ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც ჩვეულებრივ მოცემულია ღონისძიების შესახებ საბოლოო წინადადებაში. დივესტირების ხანმოკლე ვადები დიდად უწყობს ხელს დივესტირების წარმატებას, რადგან სხვაგვარად სადივესტიციო ბიზნესი ექვემდებარება გაურკვევლობის ხანგრძლივ პერიოდს. ამიტომ, ვადა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე .[46]

114. დივესტირების ღონისძიების შემთხვევაში, მხარეებმა, როგორც წესი, უნდა წარმოადგინონ მტკიცებულება დივესტირების დასრულების შესახებ. იგი

[46] ევროკომისია ჩვეულებრივ განიხილავს დაახლ. ექვს თვიან პერიოდს დივესტირებისათვის. ტრანზაქციის დასრულებისათვის როგორც წესი, გათვალისწინებულია შემდგომი სამი თვის ვადა. ეს პერიოდები შეიძლება შეიცვალოს თითოეულ შემთხვევის შესაბამისად. კერძოდ, შეიძლება საჭირო გახდეს მათი შემცირება, თუ არსებობს ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის შემცირების მაღალი რისკი შუალედურ პერიოდში.

განხორციელდება მხოლოდ ტრანზაქციის დახურვის შემდეგ (მაგალითად, იურიდიული საკუთრება გადავიდა მყიდველზე და აქტივები გადაეცა ფაქტობრივად). პროცესის დასრულების შემდეგ, მხარეებს მოეთხოვებათ საბოლოო ანგარიშის წარდგენა, რომელიც დაადასტურებს ტრანზაქციის დახურვას და აქტივების გადაცემას.

115. პრიორიტეტული მყიდველის საშუალების გამოყენებით დივესტირების ღონისძიების შემთხვევაში, კონცენტრაციის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი თვის ვადა ზოგადად, საკმარისია შესაფერისი მყიდველის იდენტიფიცირებისთვის, სავალდებულო ხელშეკრულებების დასადებად და დივესტირების გარიგების დასასრულებლად. უფრო მოკლე პერიოდი შეიძლება გათვალისწინებული იქნას იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მომატებული რისკი იმისა, რომ დივესტირების საქმიანობის ღირებულება და სიცოცხლისუნარიანობა შეიძლება შემცირდეს უფრო მეტად, ვიდრე საშუალოდ დივესტირების პერიოდში.

116. პროცედურა განსხვავებული იქნება „პრიორიტეტული ღონისძიებებისთვის“ როგორც წესი, პროცედურის დროს მყიდველთან უკვე ფორმდება სავალდებულო ხელშეკრულება, ამიტომ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ტრანზაქციის დახურვისთვის მხოლოდ დამატებითი ვადა უნდა იყოს დაშვებული. თუ გადაწყვეტილების მიღებამდე, მყიდველთან დაიდო მხოლოდ ჩარჩო ხელშეკრულება, სრული შეთანხმებისა და შემდგომი დასრულების ვადები უნდა განისაზღვროს თითოეულ შემთხვევისათვის ცალკე.

117. ქცევითი საშუალებები როგორც წესი, დროში შეზღუდულია და შეიძლება დაწესდეს სხვადასხვა ვადით. თუმცა, ასეთი ზომები, როგორც წესი, გათვლილია შედარებით ხანგრძლივ პერიოდზე[47], ვინაიდან დაცვის საშუალებების გამოყენების მოკლე პერიოდები შეიძლება არ იყოს საკმარისი ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებების მოსახდენად, მაგალითად, ბაზარზე შესვლის ან ინოვაციის სტიმულირებისთვის. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც დადგენილია სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხანგრძლივობა, შეიძლება საჭირო გახდეს ვადის გაზრდა.[48]

---

[47] მაგალითად, კომისიამ მიიღო რამდენიმე წლის ვადით აღებული ვალდებულებები (მაგალითად, რვა ან ათი წელი), იხ. საქმე No. M.7000 – *Liberty Global / Ziggo*, პარაგრ. 57, ვალდებულებების შესახებ. (ვალდებულება არ შეიზღუდოს სატელევიზიო მაუწყებლების შესაძლებლობა, შესთავაზონ თავიანთი შინაარსი OTT ტექნოლოგიის გამოყენებით, ე.ი. ინტერნეტის მეშვეობით და უზრუნველყოს საკმარისი გამტარობა ქსელთაშორისი მუშაობისთვის). საქმე No. M.9064 – *Telia – Company / Bonnier Broadcasting Holding*, გადაწყვეტილებაზე თანდართული ვალდებულებები, პარაგრ. 80.

[48] მაგ. იხ. საქმე No. M.8744 – *Daimler / BMW / Car Sharing JV*, პარაგრ. 339, გადაწყვეტილებაზე თანდართული ვალდებულებები, პარაგრ. 39. M.9660 – *Google / Fitbit*, გადაწყვეტილებაზე თანდართული ვალდებულებები, პარაგრ. 37-38 (ქცევითი ვალდებულებები 10 წლის ვადით, ზოგიერთი ვალდებულებისთვის (Google-ის

118. ქცევითი (არასტრუქტურული) ზომების გამოყენების შესაბამისი პერიოდი დამოკიდებულია კონკურენციის ზიანის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე და სხვა გარემოებებზე. ასეთი საშუალებების ხანგრძლივობა საკმარისი უნდა იყოს შერწყმის შედეგად გამოვლენილი კონკურენტული ზიანის თავიდან ასაცილებლად.

119. მეორეს მხრივ, ღონისძიებები შეიძლება გახდეს შეუსაბამო ან მომავალში შეზღუდოს კონკურენცია ბაზრის ცვლილებების გამო. ამ რისკის აღმოფხვრა შესაძლებელია გადახედვის პუნქტის შეტანით, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიების გაუქმებას, კორექტირებას ან შეცვლას, ბაზარზე (ბაზრებზე) განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაბამისად, რაც გავლენას ახდენს აუცილებელი ღონისძიების საჭიროებასა ან მასშტაბზე.

120. შედარებით მოკლე ვადა შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ შეთავაზებული ღონისძიებები მიმართულია დროებითი ეფექტის მოხდენაზე.

121. თუ ბაზარზე დაშვების შესახებ ღონისძიებები მოითხოვს მხოლოდ გარკვეული უფლებების უზრუნველყოფას (მაგალითად, სპეციალური უფლებები კლიენტებისთვის გრძელვადიანი ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ), ისინი ხშირად შეიძლება განხორციელდეს დროის მცირე მონაკვეთში. ამრიგად, განხორციელების ვადა შეიძლება იყოს მნიშვნელოვნად მცირე, ვიდრე დივესტირების ვალდებულებების შემთხვევაში. ბაზრის ხელმისაწვდომობის სხვა ღონისძიებებისთვის მათი განხორციელების ვადები განისაზღვრება თითოეული შემთხვევისათვის ინდივიდუალურად, კონკრეტული ღონისძიების და საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

122. ვადის მიზანშეწონილობა და მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალურ გარემოებებზე.

2. მყიდველისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადასტურება

123. დივესტირების პერიოდში ღონისძიების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, კონცენტრაციის მონაწილე მხარეებმა მყიდველთან და ასევე, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, უნდა მიიღონ სააგენტოს თანხმობა. ეს ეხება დივესტირების ყველა საშუალებას. სააგენტოს, მყიდველის დამტკიცების დადგენილ ვადამდე დროულად (არანაკლებ ორი კვირით ადრე) უნდა მიეწოდოს შემსყიდველის დასახელება, ნასყიდობის ხელშეკრულება და ყველა საჭირო ინფორმაცია შეფასებისთვის.

ვალდებულება არ გამოიყენოს Fitbit-ის მონაცემები რეკლამისთვის), კომისია იტოვებს უფლებას, გააგრძელოს ეს ვადა კიდევ ათი წლით, მას შემდეგ, რაც „გაამართლა ასეთი გახანგრძლივების აუცილებლობა“))

124. როდესაც მხარეები მყიდველთან საბოლოო შეთანხმებას მიაღწევენ, სააგენტოს უნდა წარუდგინონ გონივრული და დოკუმენტირებული წინადადება. მხარეებმა უნდა დაამტკიცონ, რომ წარმოდგენილი მყიდველი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას და რომ ბიზნესი დივესტირდება სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან შესაბამისობაში. იმ შემთხვევებში, როდესაც სამართლებრივი დაცვის ზომები საშუალებას იძლევა, სხვადასხვა შემსყიდველს შესთავაზონ მათი სხვადასხვა ნაწილი, სააგენტო აფასებს თითოეული ცალკეული შეთავაზებული მყიდველის შესაბამისობას და აგვარებს თუ არა სამართლებრივი დაცვის საშუალებების სრული პაკეტი კონკურენციასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

125. როგორც წესი, სააგენტოს მიერ მყიდველის მოთხოვნების შეფასების საფუძველია მხარეთა წარდგენა, მონიტორინგის რწმუნებულის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, შეთავაზებული მყიდველისა და მისი ბიზნეს-გეგმის განხილვა. სააგენტო ასევე გააანალიზებს, რამდენად დამაჯერებელია მყიდველის ძირითადი ვარაუდები საბაზრო გარემოებების გათვალისწინებით.

126. გამყიდველის მიერ დივესტირების ნებისმიერი დაფინანსება და კერძოდ, გამყიდველის ნებისმიერი დაფინანსება, თუ ეს გამყიდველს მომავალში მისცემს წილს დივესტირების ბიზნესის მოგებაში, ზოგადად მიუღებელი იქნება.

127. მოსალოდნელია, რომ შეთავაზებული მყიდველი მიიღებს ყველა სხვა აუცილებელ ნებართვას შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოებისაგან, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, შერწყმის ნებართვის შესახებ გადაწყვეტილებას. შერწყმის კონტროლის ნებისმიერი პროცედურა, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს მყიდველის მიერ ზოგადად სადივესტიციო ბიზნესის შეძენასთან დაკავშირებით, უნდა დასრულდეს დივესტირების განხორციელების ვადაში. როდესაც, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, აშკარაა, რომ შერწყმის კონტროლის ან სხვა სახის ნებართვის მოპოვების სირთულეები ზედმეტად აჭიანურებს ვალდებულების დროულად შესრულებას, ითვლება, რომ შეთავაზებული მყიდველი ვერ აკმაყოფილებს მყიდველისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

128. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და ნებისმიერი სხვა შეთანხმება, რომელიც დადებულია მხარეებსა და შეთავაზებულ მყიდველს შორის, შუალედური ხელშეკრულებების ჩათვლით, უმეტეს შემთხვევაში საჭიროებს სააგენტოს მიერ დამტკიცებას.

3. მხარეთა ვალდებულებები შუალედურ პერიოდში

129. მხარეებმა უნდა შეასრულონ გარკვეული ვალდებულებები შუალედური პერიოდის განმავლობაში (სააგენტოს გადაწყვეტილების მიღებამდე, დივესტირების პროცესის

დასრულებამდე (ბიზნესის იურიდიული და ფაქტობრივი გადაცემა მყიდველზე)). როგორც წესი, ამ საკითხის ღონისძიებები უნდა მოიცავდნენ შემდეგს: (i) ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის დროებითი შენარჩუნების გარანტიებს; (ii) აუცილებელ ნაბიჯებს გამოყოფის პროცესისთვის, თუ ეს შესაძლებელია; და (iii) აუცილებელ ეტაპებს ბიზნესის დივესტირების მოსამზადებლად.

დივესტირებული ბიზნესის დროებითი შენარჩუნება

130. არსებობს რისკი, რომ დივესტირებამდე ბიზნესის კონკურენტული პოტენციალი შემცირდეს ან დაიკარგოს შუალედურ პერიოდში. ამიტომ, სადივესტიციო ბიზნესის კონკურენტუნარიანობა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობასთან, ღირებულებასთან და გაყიდვადობასთან, უნდა შენარჩუნდეს. ეს ნიშნავს, რომ მხარეებმა უნდა შესთავაზონ შესაბამისი ვალდებულებები ბიზნესის მყიდველზე გადაცემამდე, მისი დამოუკიდებლობის, ეკონომიკური და კომერციული სიცოცხლისუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად.

131. სადივესტიციო ბიზნესის ბუნებიდან გამომდინარე, ეს ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს მოთხოვნას, რომ ბიზნესი იყოს განცალკევებული მხარეების მიერ შენარჩუნებული ბიზნესისაგან და უზრუნველყოფილი იყოს მისი, როგორც განსხვავებული და გაყიდვადი ბიზნესის მართვა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. მხარეები შესაძლოა ვალდებულნი იყვნენ ასევე უზრუნველყონ, რომ ბიზნესის ყველა აქტივი შენარჩუნებული იყოს კარგი ბიზნეს პრაქტიკისა და ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობის შესაბამისად და რომ არ განხორციელდეს ისეთი ქმედებები, რომლებიც არსებითად უარყოფით გავლენას მოახდენს საქმიანობაზე. გარდა ამისა, მხარეებმა უნდა შეინარჩუნონ ბიზნესი იმავე პირობებში, როგორც კონცენტრაციამდე, უზრუნველყონ საკმარისი რესურსები, შეინარჩუნონ იგივე ადმინისტრაციული და მართვის ფუნქციები ან სხვა ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკრეტულ სექტორში კონკურენციის შესანარჩუნებლად. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა გონივრული ზომა, მათ შორის შესაბამისი წამახალისებელი სქემები, რათა უზრუნველყონ კვალიფიცირებული თანამშრომლების დარჩენა ბიზნესში; მხარეებს არ შეუძლიათ დაიქირაონ ან გადაიყვანონ პერსონალი მათ დანარჩენ ობიექტებში.

132. გარდა ამისა, მხარეებმა უნდა განასხვაონ არსებული ბიზნესი შენარჩუნებული ბიზნესისგან და უზრუნველყონ, რომ დივესტირებული ბიზნესის კვალიფიცირებულ თანამშრომლებს არ ჰქონდეთ რაიმე ჩართულობა შენარჩუნებულ ბიზნესში და პირიქით. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ზომები.

გამოყოფის ეტაპები

133. გამოყოფის შემთხვევაში, როდესაც ბიზნესის დივესტირება საჭიროებს მხარეთა დარჩენილი ბიზნესებიდან გამოყოფას, მხოლოდ სიცოცხლისუნარიანი ბიზნესის გადაცემა მყიდველზე, რომელსაც შეუძლია შეინარჩუნოს და განავითაროს ეს ბიზნესი, როგორც აქტიური კონკურენტუნარიანი ძალა ბაზარზე, მოაგვარებს კონკურენციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მხოლოდ სიცოცხლისუნარიანი და კონკურენტუნარიანი ბიზნესი, რომელიც მხარეთა სხვა ბიზნესებისგან დამოუკიდებელი და განცალკევებულია, შეიძლება გადაეცეს შესაბამის მყიდველს შუალედური პერიოდის ბოლოს. მხარეები შუალედური პერიოდის განმავლობაში, გამოყოფასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და რისკებს, აიღებენ საკუთარ თავზე.

5. მხარეთა ვალდებულებები დივესტიციის შემდგომ

134. პირობითი ვალდებულებები/ღონისძიებები ასევე უნდა ითვალისწინებდეს, რომ მათ შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ჩვეულებრივ, 10 წელი), სააგენტოს შეეძლოს მხარეებისგან გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია საჭიროებისამებრ. ეს საშუალებას მისცემს სააგენტოს გააკონტროლოს დამტკიცებული ღონისძიებების განხორციელების ეფექტურობა.